ეროვნული ბიბლიოთეკა. „ეროვნული" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№83 (1109) 24 – 26 ივლისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

კორეელი ამერიკელის თბილისური ცხოვრება

ექსკლუზიური ინტერვიუ ამერიკის საელჩოს პრესაფაშეს მოადგილესთან

გვ. 5

მარგველაშვილმა ნაცების თამაში ლიად დაიწყო

რატომ გაათავისუფლეს ვადაზე ადრე სახელმწიფო ქონების განიავებისთვის ნასამართლევი დევან ბობოხიძე

გვ. 2–3

ბევრიმაზე ოპოზიცია საპროტესტო აქციებს გეგმავს

ზურაბ ჟვანია

გვ. 6–7

სკანდალური საქმე

სპეციალური რეპორტაჟი სასამართლო პროცესიდან

უკრაინისა და ყაზახეთის გარდა რეგიონში არც ერთ ქვეყანას ელექტროენერგიის უფრო იაფი ტარიფი არ აქვს

გვ. 7

რატომ გაუძვირა სემეკმა თბოელექტროსადგურებს გაზის

გვ. 4

1 აგვისტოდან დენი 4 თეთრით გაძვირდება?!

სახელმწიფო თხილის წარმოების განვითარებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერით აპირებს

დარჩელში თხილის საშრობი და სასაწყობე მეურნეობა მოეწყობა

გვ. 9

მარგველაშვილმა ნაცების თამაში ლიად დაიწყო

რაფომ გაათავისუფლეს ვადაზე ადრე სახელმწიფო ქონების განიავებისთვის ნასამართლევი ლევან ბობოხიძე

გიორგი იაშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა ბოძებული უფლება გამოიყენა და 98 პატიმარი შეიწყალა. 74-მა მათგანმა სასჯელაღსრულების დაწესებულება უკვე დატოვა და მათ შორისაა პარლამენტარ აკაკი ბობოხიძის ძმა, ლევან ბობოხიძე. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ ბატონი ლევანი ნაციონალური მოძრაობის ხონის ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელია და მას ბრალად სახელმწიფო ქონების გაფლანგვა ედებოდა. სასამართლომ ბობოხიძეს 3 წლითა და 6 თვით პატიმრობა შეუფარდა, თუმცა პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ციხე ვადაზე ადრე დატოვა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა აკაკი ბობოხიძემ ძმის გათავისუფლების შემდეგ არ დამალა, რომ პრეზიდენტის მიერ ძმის შეწყალების იმედი ნამდვილად ჰქონდა: **„იმედი მქონდა, პრეზიდენტი შეწყალებას ხელს მოაწერდა. შეწყალების მოთხოვნით მას დაკავებულების მშობლებმა მიმართეს“.**

არადა, პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ლევან ბობოხიძემ, მისი ახლობლის, ნიკოლოზ კირთაძისათვის მატერიალური სარგებლის მისაღებად, დაგეგმა და ორგანიზება გაუკეთა ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და ყალბი დოკუმენტებით სამასალე და საშეშე მერქნის გაფლანგვას. კერძოდ, 2010 წელს, ლევან ბობოხიძის მიერ ორგანიზებული დანაშაულებრივი სქემის შესაბამისად, ხონის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზურაბ ჯიბუხაიამ და გამგებლის მოადგილე ბესარიონ ჭელიძემ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამასალე და საშეშე მერქანი, რომელიც ხონის მუნიციპალიტეტის დადგენილების თანახმად სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის უნდა გადაეცათ, უსასყიდლოდ გადასცეს ნიკოლოზ კირთაძეს. ამ უკანასკნელმა კი მიღებული მერქანი ცალკეული მოქალაქეების სახელზე შედგენილი ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ჩააბარა ხის გადამამუშავებელ საამქროებს, რომელთა ხელმძღვანელებმა ლევან ბობოხიძის დავალებით, მიღებული მერქნის საბაზრო ღირებულების თანხა ნიკოლოზ კირთაძეს გადასცეს. აღნიშნული ქმედებით გაიფლანგა ხონის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დიდი ოდენობით — 93,299 მ3, 12 580,69 ლარის ღირებულების ქონება, რითაც სახელმწიფოს მიადგა ზიანი.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბობოხიძე 2006 წლიდან 2012 წლის შემოდგომამდე, ხონის მუნიციპალიტეტის უკლებლივ ყველა თანამშრომლისგან, პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საწევროს სახით, ყოველთვიურად სახელფასო განაკვეთის 10%-ს კრეფდა, რომელიც თითქოსდა უნდა მოხმარებოდა ხონში მცხოვრებ ამავე პარტიის დაუსაქმებელ აქტივისტებსა და სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას, რეალურად კი თანხას ლევან ბობოხიძე განკარგავდა თავისი შეხედულებისამებრ.

საზოგადოებას შეიძლება აღარ ახსოვს, პრეზიდენტმა მისივე ცოლის ძმა, გიორგი მგალობლიშვილიც რომ გასამართლებიდან 2 წელიწადში შეიწყალა, როცა მას 17 წელი ჰქონდა მისჯილი.

კაცის გათავისუფლება როგორ არ უნდა გაგიხარდეს, მაგრამ ჯერ ერთი, ვერ ვიხსენებთ, ნაციონალებს რომელიმე ოპოზიციური პარტიის ერთი წევრი მაინც შეეწყალებინათ და მთავარი — შესაწყალებელთა სიაში ქალბატონი თეა სირაძეც იყო. ეს ქალბატონი სასჯელს ხუთი ინდოელი მამაკაცის ცემისთვის იხდის და წინა ხელისუფლების სასამართლოს პირობებში მას 28 წელი შეუფარდეს. სავარაუდოდ, ხუთი კაცის ცემა ხუთ ეპიზოდად შეუკრიბეს და ოთხი შვილის დედა, პრაქტიკულად, სამუდამო პატიმრობისთვის განირეს.

ამის მიუხედავად, მარგველაშვილს აზრად არ მოსვლია სირაძის შეწყალება და ისიც უნდა ვთქვათ, რომ არც კომისიის წევრებმა მოსთხოვეს პრეზიდენტს ამის გაკეთება. სამაგიეროდ, სახელმწიფო ქონების განიავებისთვის ნასამართლევ ბობოხიძეს ფართოდ გაუღეს ციხის კარი, თუმცა ნაციონალების დროს სახელმწიფო ქონების განიავება სათავეში მყოფ პირთაგან დანაშაულად არ ითლებოდა და სავარაუდოდ, ბობოხიძეც ამიტომ გაათავისუფლეს.

როგორც გაირკვა, პრეზიდენტს შეწყალების მოთხოვნით ბობოხიძესთან ერთად დაკავებული სამი პიროვნების მშობლებმა მიმართეს და მარგველაშვილმა ეს ოთხეული ერთად შეიწყალა. სამაგიეროდ, როცა ეკა ხოფერიას თოქ-შოუდან ქალბატონმა თეა სირაძემ მიმართა პრეზიდენტს, შემიწყალეთ, რომ არ მეცემა ის ინდოელები, მომკლავდნენ, რომ არა ჩემი სპორტული მოღვაწეობა, მსხვერპლი ვიქნებოდიო, მისი ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისა პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასა შინა. იმ რეზიდენციასა შინა, რომლიდან გადასვლის პირობას მარგველაშვილი საჯაროდ დებდა, თუმცა...

პარლამენტმა „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონი მიიღო

პარლამენტმა მესამე მოსმენით „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონპროექტი დაამტკიცა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტით, კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში — აგრეთვე, აფხაზური. სახელმწიფო უზრუნველყოფს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას და სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ქართველურ ენა-კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე.

კანონპროექტი ადგენს, რომ სახელმწიფო ენაზე სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლების მიღება არის საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლება; საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა, ხოლო არასახელმწიფოენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, შესაბამის კონტინგენტს შესთავაზონ სახელმწიფო ენის შესწავლის სპეციალური კურსი; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ოფიციალური საქმისწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე; სამართალწარმოებისა და საკანონმდებლო საქმიანობის ენაა სახელმწიფო ენა; საქართველოს სამხედრო და გასამხედროებულ ძალებში ოფიციალური საქმიანობა ხორციელდება ქართულ ენაზე; რეფერენდუმის, პლებისციტის და სხვა ოფიციალურ ღონისძიებათა ენა არის სახელმწიფო ენა; კონკურსებისა და ატესტაციების ენა არის სახელმწიფო ენა; აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის წარდგენა და დაცვა ხდება სახელმწიფო ენაზე.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ შექმნას სათანადო პირობები, სახელმწიფო ენის შესწავლისა და გამოყენებისთვის; მუდმივად იზრუნოს ქართველურ ენა-კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე; ხელი შეუწყოს ქართველოლოგიურ და აფხაზოლოგიურ კვლევებს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ყოველი საჯარო მოსამსახურე ვალდებულია, ფლობდეს სახელმწიფო ენას. კანონპროექტის მიხედვით კი, ამ მოთხოვნასთან პირის შესაბამისობა დასტურდება: სახელმწიფოენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დოკუმენტით; საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი არასახელმწიფოენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დოკუმენტით; სახელმწიფო ენის გამოცდის ჩაბარების დოკუმენტით (სერტიფიკატით).

გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობასთან საჯარო სამართლის იურიდიული პირის — სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შექმნას. დეპარტამენტი მოიაზრება როგორც ინსტიტუცია, რომელსაც სახელმწიფო ენის ერთიანი პოლიტიკის განხორციელება, ენის განვითარებასა და შესწავლაზე ზრუნვა დაეკისრება.

„ინტერპრესნიუსი“

სოზარ სუბარი დევნილებს აფრთხილებს

დევნილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა დევნილებისთვის სახლების გადაცემასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა და ისინი თაღლითების გამოჩენის შესახებ გააფრთხილა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, თბილისში გააქტიურდნენ თაღლითები, რომლებიც დევნილებს ატყუებენ, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მათ ოლიმპიურ სოფელში, მთავრობის მიერ დევნილებისთვის შეძენილი ბინების მიღება შეუძლიათ: **„მას შემდეგ, რაც პრემიერმა გააკეთა განცხადება, რომ თბილისის ზღვაზე 600-მდე დევნილს ბინები გადაეცემა, თბილისში თაღლითები გააქტიურდნენ, რომლებიც დევნილებს ატყუებენ, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ამ ბინების მიღება შეუძლიათ. ვაფრთხილებ ყველას, როგორც კი მსგავს წინადადებას მოისმენენ, გაქანდნენ შსს-ში ან ჩვენ მოგვაწოდონ ინფორმაცია. ეს არის ტყუილი. ვერავინ მიიღებს ბინას ვერც თაღლითობით და ვერც ფულის გადახდით. ყველას მოვუწოდებ, დაემორჩილოს კანონს. 90-იანი წლების შემდეგ პირველად, ჩვენ დავიწყეთ თბილისში ფართომასშტაბიანი მშენებლობები. ბინას მიიღებს ყველა, მაგრამ რიგითობა იქნება დაცული. ნებისმიერი წესის დარღვევა ნიშნავს, რომ ვიღაც უფრო გაჭირვებული დაიჩაგრება. ჩვენ ვერავის დავჩაგრავთ“.**

„პირველი“

ვერსიანიუსი

პრემიერი შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს 27 ივლისს დაასახელებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შს ახალ მინისტრს, სავარაუდოდ, მომდევნო ორშაბათს წარადგენს.

როგორც ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ახალი მინისტრის წარდგენამდე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი კვლავ ვახტანგ გომელაური იქნება: **„მინდა აღვნიშნო, რომ პარლამენტმა დაამტკიცა გომელაურის კანდიდატურა. ის გახდა სუს-ის უფროსი. გომელაური შეასრულებს შს მინისტრის მოვალეობას. ახალ კანდიდატს სავარაუდოდ ორშაბათს წარვუდგენთ საზოგადოებას“.**

ვახტანგ გომელაურის კანდიდატურა, დეპუტატებმა, 83 ხმით არც ერთის წინააღმდეგ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე, 6 წლის ვადით დაამტკიცეს. აღნიშნულ თანამდებობაზე, ვახტანგ გომელაური პრემიერ-მინისტმა დაასახელა. შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საკანონმდებლო ცვლილების შედეგად გამოეყო, რომელიც შსს-ს ორად გაყოფას გულისხმობდა. ცვლილების თანახმად, პირველი აგვისტოდან შეიქმნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც მთავრობის დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების დაწესებულება იქნება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს პარლამენტი აირჩევს. დაგეგმილი რეფორმის ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემადგენლობაში გადავა ისეთი დანაყოფები, როგორიცაა კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, კონტრტერორისტული ცენტრი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ანტიკორუფციული სააგენტო, სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტი – ე.წ. შავნაბადას დანაყოფი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში შემდეგი საპოლიციო დანაყოფები რჩება: კრიმინალური პოლიცია, საპატრულო პოლიცია, შს სამინისტროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მომსახურების სააგენტო, დაცვის პოლიცია, საგანგებო სიტუაციების სააგენტო.

„პირველი“

შემოდგომაზე ოპოზიცია საპროტესტო აქციებს გეგმავს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

13 ივნისის ტრაგედიამ პოლიტიკური ტემპი ნაადრევად დააგდო, ქართულმა ოპოზიციამ კი საზაფხულო არდადეგები გამოაცხადა. მთავრობის მიმართ ნაციონალების მიერ დაანონსებული უნდობლობის პროცესის დაწყება, ალბათ, ვერეს წყალმა გაიყოლა. ე.წ. კაბელების საქმის „კეთილად დასრულების“ შემდეგ ირაკლი ალასანიას თავისუფალ დემოკრატებსაც უჭირთ გასაპროტესტებელი საკითხების მოძებნა, თუმცა ეს ორი პარტია საპარლამენტო ოპოზიცია მაინცაა და რაც უნდა იყოს, პარლამენტის კედლებში, ასე თუ ისე, ჩნდებიან ხოლმე. აი, არასაპარლამენტო ოპოზიციის ის ნაწილი კი, რომელიც ბოლო დროს ყველაზე აქტიური იყო და პრეზიდენტ მარგველაშვილთან ერთად საარჩევნო კოდექსის შეცვლას საგაზაფხულო სესიების ბოლომდე ითხოვდა, სადღაც გაქრა.

წელიწადზე მეტია, ოპოზიცია მაჟორიტარული არჩევნების წესის გაუქმებაზე აპელირებს და საკონსტიტუციო ცვლილებებს მოითხოვს. მაისიდან ეს მოძრაობა განსაკუთრებით აქტიური გახდა, პრეზიდენტთან ერთად ცვლილებების მხარდამჭერი კონფერენციაც ჩატარდა და პარლამენტარების ხელმოწერაც შეგროვდა, თუმცა სულ — 59, ოპოზიციას კი საკონსტიტუციო უმრავლესობამდე 17 ხმა დააკლდა. როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ოპოზიციის ლიდერები დროებით ტაიმ-აუტს აანონსებენ. როგორც გავარკვიეთ, არასაპარლამენტო ნაწილი, იგივე ინტერპარტიული ჯგუფი, სადაც 10-ზე მეტი პარტიაა გაერთიანებული, სექტემბრიდან მაჟორიტარების წინააღმდეგ ახალ კამპანიას იწყებს. დასრულებულია დიპლომატიური კორპუსების წარმომადგენლებსა და პარლამენტარებთან ოფიციალური შეხვედრებიც, თუმცა ამ დღეებში „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე რამდენიმე დეპუტატს შეხვდა, რაც დაგვიდასტურა კიდეც. სავარაუდოდ, ოპოზიციის ელჩმა „რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა“, რადგან ხელისუფლებისგან ხელშესახები პასუხი რომ მიეღო, გასულ კვირას, პოლიტიკურ თათბირზე თვენახევრიანი პაუზის გამოცხადებამდე არ მივიდოდა საქმე. უფრო სწორად, ეს არც არავის გამოუცხადებია, „ვერსიამ“ თავად გაარკვია ინტერპარტიული ჯგუფის ყველაზე აქტიური ლიდერებისგან და მათ სამომავლო გეგმებზეც ესაუბრა. როგორც ქრისტიან-დემოკრატების ბურჯანაძესთან არშეერთებული ნაწილის ლიდერმა **გოჩა ჯოჯუამ** გვითხრა, გასულ კვირას, სავარაუდოდ, ინტერპარტიულმა ჯგუფმა ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა ჩაატარა: **„შესაძლოა, ეს ინტერპარტიული ჯგუფის ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა იყოს, რადგან ზაფხული, განსაკუთრებით აგვისტო, პოლიტიკურად მკვდარი პერიოდია. ოპოზიცია არც დანებებულა, არც კმაყოფილია და არც იმ შედეგებს დასჯერდება, რაც კოდექსთან დაკავშირებით მიიღო. სამწუხაროდ, მე ისევე, როგორც სხვა ლიდერების უმეტესობა, ამ შეხვედრაზე არ ვიყავი, ამიტომ უფრო კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით“.**

13 ივნისის ტრაგედიის შემდეგ ბუნებრივ პაუზაზე საუბრობს „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა კაციტაძეც,** რომლის თქმით, შესაძლოა, პარლამენტში შეხვედრები, ჯერჯერობით, შედეგისმომცემი არაა, თუმცა გრძელდება: **„ზოგადად, ზაფხული პოლიტიკურად ისედაც ყოველთვის დუნეა, მაგრამ ამის მიუხედავად, საკითხი ჩვენთვის კვლავ მთავარ თემად რჩება. აგვისტოში, როცა პოლიტიკურად მართლა არაფერი ხდება, საარჩევნო სისტემის საკითხზე განსაკუთრებულ აქტიურობას საზოგადოებას ვერ მოვთხოვთ. გრძელდება შეხვედრები პარლამენტში და მის გარეთ. შესაძლოა, ხელისუფლებასაც შევხვდეთ. ამის წინაპირობა არსებობს. აქტიურ ფაზაში ეს ყველაფერი პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლებისთანავე გადავა, სავარაუდოდ, სექტემბერში. ოპოზიცია არათუ დანებდება, არამედ დღის წესრიგიდანაც არ მოხსნის ამ თემას. ვადასტურებ, რომ რამდენიმე დეპუტატებთან მქონდა შეხვედრა და პარლამენტის თავმჯდომარესაც ვესაუბრე. თუმცა საუბარი და მსჯელობა შედეგი კი არა, პროცესია. ჯერჯერობით, ისევ 59 ხელმოწერა გვაქვს და „ოცნების“ არცერთ დეპუტატს დოკუმენტზე ხელი არ აქვს მოწერილი“.**

„ქართული დასის“ ლიდერს **ჯონდი ბაღათურიას** პარტიული გეგმებიც აქვს და „ინტერპარტიულიც“. „სემეკისა“ და აშშ-ს საელჩოს შენობებთან სხვადასხვა დროს დაგეგმილი საპროტესტო აქციების გარდა, ბაღათურია ოპოზიციის საშემოდგომო გეგმებზეც გვესაუბრა და განაცხადა, სექტემბრიდან ჯერ კიდევ შევარდნაძისდროინდელი ბიზნესმენი მაჟორიტარების მხილებას დავიწყებთო: **„13 ივნისის მერე „ქართულმა დასმა“, სხვა პარტების მსგავსად, მორატორიუმი გამოაცხადა და ხელისუფლებასთან ოპონირების რეჟიმი დროებით შევაჩერეთ. ახლა უკვე ჩვეულ რეჟიმში აღვადგინეთ მუშაობა... ისე, აქციის გამართვას აშშ-ს საელჩოსთან ვაპირებთ. მათ დავალებული აქვთ, ერთსქესიანთა ქორწინება საქართველოშიც დააკანონონ და ამ აქციით უნდა ვუთხრათ, რომ ჩვენ ვართ კედელი, რომელიც საქართველოში გარყვნილების დაკანონებას არ დაუშვებს. თუმცა ამ თემაზე წივილ-კივილს არ ვაპირებთ. საღამოთი სანთლებს ავანთებთ, რაც ღამის შუქზე მეტ ეფექტს მოგვცემს. ამავე თემაზე ჩვენი იურისტები რეფერენდუმის მომზადებაზე მუშაობენ. ასევე, ვაგრძელებთ ბრძოლას საარჩევნო კოდექსის შესაცვლელად, რადგან არსებული მაჟორიტარული სისტემა მიუღებლად მიგვაჩნია. რეალურად, ხელისუფლებას არაფერი შეუცვლია. ახლა ვგეგმავთ საკითხის განხილვას, რომ საზოგადოებას კარგად გავაცნოთ მაჟორიტარები, საერთოდ, საიდან წარმოიშვა ეს სისტემა, ვინ არიან, რა ქონებას ფლობენ ეს მაჟორიტარები, რისთვის იყენებენ პარლამენტის წევრის მანდატს... თუმცა აზრი ორად იყოფა — პარტიების ნაწილი ემხრობა, რომ ეს კამპანია სექტემბრის მეორე ნახევრიდან დაიწყოს, როცა პოლიტიკური ტემპერატურა მაღლა იწევს. რაღაც ნაწილი კი ფიქრობს, რომ ეს მოძრაობა ახლავე უნდა დავიწყოთ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მაჟორიტარებს უფრო შორეული წარსული აქვთ, ვიდრე ნაციონალური მოძრაობაა. იგივე ხალხი ჯერ კიდევ შევარდნაძის გუნდში იყვნენ, მერე სახელმწიფო გადამტრიალებელ სააკაშვილთან გადაბარგდნენ და ახლა იგივე კასტა ივანიშვილის გუნდში გადავიდა. ჩვენი ქვეყანა კონკრეტული სახელისა და გვარისგან კი არა, ამ ფეოდალთა კასტისგან უნდა დავიცვათ. მათ საქართველო ტორტად მიაჩნიათ და ცდილობენ, ყველაზე დიდი ნაჭერი თავისთვის ჩამოიჭრან. აი, ასეთ პარაზიტად იქცა მაჟორიტარული ინსტიტუტი. ვფიქრობ, საზოგადოებას კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ და უფრო მახვილი კუთხეებით წარმოვუჩინოთ მაჟორიტარების ნამდვილი სახე. ისინი 4 წელი, მანდატის ამოწურვამდე, ჯერ მოსახლეობას ძარცვავენ, 4 წლისთავზე კი თავიანთი ნაძარცვი ფულის ტომრებიდან ცოტას ხარჯავენ, რათა ისევ იყიდონ მანდატი და წლებია, ასე გრძელდება“.**

ოპოზიციის გადაწყვეტილებით, სწორედ იმ აზრმა გაიმარჯვა, ვინც ამ კამპანიის დაწყებას სექტემბერში ემხრობოდა, მანამდე კი, საკონსტიტუციო ცვლილებებს პაკეტის დაზუსტება-შესწორებაზე ვიმუშავებთო, განუცხადეს „ვერსიას“. როგორც გავარკვიეთ, შესაძლოა, შემოდგომაზე ამ თემაზე პირველი საპროტესტო აქციებიც დაიწყოს.

აქცია სახელწოდებით — „ჩვენ არ გვყავს გავლენიანი ნათესავები“

„ჩვენ არ გვყავს გავლენიანი ნათესავები“, — ამ სლოგანით ქუთაისში, საკანონმდებლო ორგანოს წინ რუსთავის 17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი ირაკლი მებონიას ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეებმა პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიასთან შეხვედრა მოითხოვეს. ოჯახის წევრების განცხადებით, ირაკლი მებონიას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა იმ ავტოსაგზაო შემთხვევისათვის მიუსაჯეს, რომელსაც 2014 წლის პირველ იანვარს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯგალში სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

მსჯავრდებულის ოჯახის წევრები ირწმუნებიან, რომ ირაკლი მებონია უდანაშაულოა, რასაც მათი თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი ავტოტექნიკური ექსპერტიზა ადასტურებს. საპროტესტო აქციას ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ერთ-ერთი დაღუპულის ოჯახიც შეუერთდა.

„ინტერპრესნიუსი“

დევნილები „თბილისი 2015“-ის ჩაშლით იმუქრებიან

მთავრობის ადმინისტრაციასთან დევნილებმა, ბინებით დაკმაყოფილების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართეს.

ერთ-ერთი დევნილის განმარტებით, ისინი თბილისის ზღვაზე მდებარე სასტუმრო „ოქროს საწმისში“ უკვე 22 წელია ცხოვრობენ, თუმცა ფართები მათ საკუთრებაში დღემდე არ არის: **„ბინებით დაკმაყოფილების თხოვნით, დევნილთა სამინისტროს უკვე მივმართეთ, თუმცა პასუხი არ გაუციათ. სასტუმროში 186 ოჯახი, 450 ადამიანია. 12 კვადრატულ მეტრიან ოთახში 4-5 ადამიანი, გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. აღნიშნულ შენობას მეპატრონე ჰყავს. ჩვენ აქ ცხოვრება არ გვინდა, გვინდა ნორმალური ფართით დაკმაყოფილება, თუნდაც ეს იყოს ოლიმპიურ სოფელში“.**

აქციის წევრებმა განაცხადეს, რომ თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, ოლიმპიური სოფლის გზას გადაკეტავენ და ოლიმპიადას ჩაშლიან.

„პირველი“

შავ ზღვაში ფეკალური წყლების ჩაღვრის გამო, მალტის დროშის ქვეშ მცურავი გემი დააჯარიმეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა გემის მიერ ფოთის ნავსადგურის დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს.

გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მალტის დროშის ქვეშ მცურავმა გემმა შავ ზღვაში ფეკალური წყლები ჩაღვარა.

მათივე ინფორმაციით, გემის კაპიტანს განესაზღვრა საჯარიმო სანქცია 65 000 ლარის ოდენობით. მასვე დაეკისრა გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ჯარიმისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის გადახდის შემდეგ გემმა საქართველოს ტერიტორიული წყლები დატოვა.

„ინტერპრესნიუსი“

1 აგვისტოდან დენი 4 თეთრით გაძვირდება?!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

2015 წლის 1 აგვისტოდან, ელექტროენერგიის ტარიფი გაიზრდება. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი) შპს „ჯიფაუერის“, „მტკვარი ენერგეტიკასა“ და „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების კორექტირებაზე იმსჯელა. კომისიის გადაწყვეტილებით, შპს „ჯიფაუერისთვის“ 1 კვტ/სთ — 7.534 თეთრით განისაზღვრა, შპს „მტკვარი ენერგეტიკასთვის“ — 10.871 თეთრით, ხოლო შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციისათვის“ – 10.194 თეთრით. ახალი ტარიფი ძალაში 2015 წლის 1 აგვისტოდან შევა და 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით იმოქმედებს. თბოელექტროსადგურები გაზზე მუშაობენ და დენს გამოიმუშავებენ. იმის გამო, რომ სემეკმა თბოსადგურებს სწორედ გაზის შესაძენი ტარიფი გაუძვირა, ამას ჯერ დენის, შემდეგ კი სხვა სახის პროდუქტის ფასების ზრდაც მოჰყვება. ეკონომიკის ექსპერტის, ემზარ ჯგერენაიას განცხადებით, სემეკის გადაწყვეტილება სამივე კატეგორიის დენის ტარიფს 4 თეთრით გააძვირებს.

სემეკის გადაწყვეტილების ოფიციალური ნაწილი

ტარიფების კორექტირებასთან დაკავშირებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიაში, საჯარო სხდომა 22 ივლისს გაიმართა. კომპანიებმა — „ჯიფაუერმა“, „მტკვარი ენერგეტიკამ“ და „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ“, ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების კორექტირების შესახებ, კომისიას ჯერ კიდევ 2015 წლის აპრილში წერილობით მიმართეს, რაზეც კომისიაში საჯარო ადმინისტრაციული წარმოებები დაიწყო. როგორც სემეკში განმარტეს, კომპანიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და განმარტებების მიხედვით, აშშ დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებიდან გამომდინარე, ელექტროენერგიის წარმოების მიზნით შესასყიდი ბუნებრივი აირის ფაქტობრივი ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დაგეგმილისგან.

„კომისიის ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის მიერ, 22 ივლისის საჯარო სხდომაზე წარმოდგენილი გაანგარიშებების მიხედვით, ტარიფების ცვლილების მნიშვნელოვანი ნაწილი, ვალუტის გაცვლით კურსზე მოდის. კერძოდ, საანგარიშო პერიოდისთვის ვალუტის გაცვლითი კურსის (USD/GEL) ზრდამ, საშუალოდ, 25% შეადგინა. ბუნებრივი გაზის ფასი განსაზღვრულია აშშ დოლარში, ხოლო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში ხორციელდება. კომისიის 2014 წლის 18 დეკემბრის №32 დადგენილების შესაბამისად, შპს „ჯიფაუერისათვის“ შესასყიდი ბუნებრივი გაზის ფასის გაცვლითი სავალუტო კურსი განსაზღვრული იყო 1.7851 ლარით აშშ დოლართან მიმართებაში; კომისიის 2014 წლის 21 აგვისტოს №19 დადგენილებით, შპს „მტკვარი ენერგეტიკასთვის“ — 1.7521 ლარით აშშ დოლართან მიმართებაში; კომისიის 2014 წლის 21 აგვისტოს №20 დადგენილებით, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციისთვის“ — 1.7623 ლარით აშშ დოლართან მიმართებაში. ვალუტის გაცვლითი კურსისა და ბუნებრივი აირის ხვედრითი ხარჯის ფაქტობრივ და დაგეგმილ მნიშვნელობებს შორის მიღებულმა სხვაობამ (უარყოფითი სალდო), შპს „ჯიფაუერისთვის“ — 215 501 ლარი, შპს „მტკვარი ენერგეტიკისთვის“ – 16 925 653 ლარი, ხოლო „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციისათვის“ – 11 411 919 ლარი შეადგინა, რაც მოქმედი სატარიფო მეთოდოლოგიის თანახმად, კორექტირებას ექვემდებარება“, — აცხადებენ სემეკში.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, მიმდინარე წლის 17 ივლისს დამტკიცებული ცვლილებების მიხედვით, 22 ივლისის საჯარო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, შპს „ჯიფაუერისთვის“, შპს „მტკვარი ენერგეტიკასა“ და „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციისათვის“, ელექტროენერგიის წარმოების მოქმედ ტარიფში, შესასყიდი ბუნებრივი გაზის ფასის გაცვლითი სავალუტო კურსი 2.3000-ით განისაზღვრა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ პირობითად, „ჯიფაური“ გაზს 1.78 ლარის კურსით (დოლართან მიმართებაში) ყიდულობდა, ამიერიდან 2.23 ლარის კურსით შეიძენს.

პოლიტ-ეკონომიკური შეფასებები

ჯერ კიდევ აპრილის დასაწყისში, როდესაც თბოელექტროსადგურების წარმომადგენლებმა სემეკს ტარიფის შეცვლასთან დაკავშირებით, წერილობით მიმართეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** განაცხადა, რომ კომისიის გადაწყვეტილების მიუხედავად, სამომხმარებლო ტარიფი არ შეიცვლებოდა. მთავრობის მეთაურმა, სემეკის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 23 ივლისს გამართულ მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, რომ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფის გაზრდის შემთხვევაში, სახელმწიფო სუბსიდია მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს შეეხებათ: **„ვიცით, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია, რომელიც დამოუკიდებელი ორგანოა, სამომხმარებლო ტარიფის კორექტირების საკითხს განიხილავს. გვესმის, რომ ეს გამოწვეულია იმ რეალობით, რომელიც რეგიონშია შექმნილი და მათ შორის, ჩვენ ქვეყანაშიც. თუ ტარიფი დაკორექტირდება და აიწევს, მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ მოსახლეობას ტვირთი შეუმსუბუქოს და აუცილებლად იქნება სუბსიდირება სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ანუ მათთვის, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. მინდა მოსახლეობას შევახსენო, რომ ჩვენ ვართ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ ორიენტირებული ხელისუფლება და ეს საქმით დავამტკიცეთ — სამი წლის განმავლობაში, მოსახლეობის სოციალურად დაცვისთვის, ბევრი რამ გავაკეთეთ და ახლაც ძალიან ბევრ რამეს ვაკეთებთ“.**

ელექტროენერგიის, გაზის, წყლის ტარიფი და ტრანსპორტირების ხარჯი, ნებისმიერი პროდუქციის ფასთნარმოქმნის სისტემაში შედის. იმის გამო, რომ სემეკმა კომპანიებს ტარიფი გაუძვირა, ბუნებრივია, მათ მიერ წარმოებული ელექტროენერგიაც გაძვირდება. თავის მხრივ, ამას სხვა სახის, პირველ რიგში კი კვების პროდუქტების გაძვირება მოჰყვება, რაც ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ ფონს კიდევ უფრო დაამძიმებს.

22 ივლისს, სემეკში გამართულ საჯარო სხდომას „ქართული დასის“ ლიდერი, ჯონდი ბაღათურია ესწრებოდა. რას ნიშნავს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება? „ვერსიამ“ ამ კითხვით, **ჯონდი ბაღათურიას** მიმართა:

— დღევანდელი გადაწყვეტილებით, სემეკმა უსამართლოდ, უკანონოდ და უსინდისოდ გაუზარდა თბოელექტროსადგურებს ტარიფის კომპონენტი. ამ დღეებში, სემეკი სამომხმარებლო ტარიფის კორექტირებასაც განიხილავს, რაც ლოგიკურია, რადგან ვერცერთი გამანაწილებელი კომპანია ვერ იმუშავებს ძველი ტარიფით, თუ მიმწოდებლის ტარიფი გაძვირდება. შესაბამისად, ამას სამომხმარებლო ტარიფის გაძვირებაც მოჰყვება.

— წინასწარ ცნობილია პრემიერ-მინისტრის პოზიცია, რომელიც ჯერ კიდევ აპრილში აცხადებდა, რომ სამომხმარებლო ტარიფი არ გაიზრდებოდა, რაც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სუბსიდირებას ნიშნავს და ეს ბიუჯეტს მძიმე ტვირთად არ დააწვება?

— ეს განცხადებები კომიკურად გამოიყურება ამ ვითარებაში, როცა პრემიერი სუსტი და უპრინციპო აღმოჩნდა. დავუშვათ, ბიუჯეტიდან სუბსიდირება განხორციელდა, ცხადია, პირველ რიგში, ეს სოციალურად დაუცველ მოსახლეობას შეეხება. თუმცა იცით თუ არა, რომ საქართველოში, იმაზე სამჯერ მეტი სოციალურად დაუცველი მოქალაქეა, ვიდრე ოფიციალურად, ბაზაშია რეგისტრირებული. უარესს გეტყვით, სემეკის ეს გადაწყვეტილება პროდუქტების ფასებზეც აისახება, რადგან თუ პირობითად, დღეს პური 1.00 ლარი ღირს, ხვალ 1.50 ლარი ეღირება. გაზი რომ გააძვირეს, მეპურეებს გარკვეული ლუფტი ჰქონდათ ტარიფში და ამას პროდუქციის გაძვირება არ მოჰყოლია, მაგრამ ახლა ისინიც იძულებული იქნებიან, პური გააძვირონ. რეალურად, ქვეყანაში ტარიფების ზრდის ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, მაგრამ ტარიფის ზრდას კალაძე ლობირებდა, რომელსაც ჯერ კიდევ სააკაშვილის მმართველობის დროს, საკუთრებაში უკანონოდ გადასცეს 18 ჰესი და 3 თბოელექტროსადგური...

— უკაცრავად, ბატონო ჯონდი, მაგრამ ჰესებიცა და სხვა ქონებაც, რასაც კახი კალაძე ფლობდა, 2012 წლის არჩევნების შემდეგ, როდესაც ენერგეტიკის მინისტრად ოფიციალურად წარადგინეს, კანონის შესაბამისად, დათმო და სამი წლის წინ, ეს ფაქტი ახლადდანიშნულმა მინისტრმა ექსკლუზიურ ინტერვიუშიც დამიდასტურა.

— ეს ზღაპრები არ გვინდა, რა! ამას სერიოზულად ამბობთ, თუ მეხუმრებით? თუ კალაძემ ქონება დათმო, მაშინ ტარიფის ზრდას ღიად რატომ ლობირებდა?!

***

ეკონომიკის ექსპერტმა, პროფესორმა **ემზარ ჯგერენაიამ**, 22 ივლისს სემეკის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა. მისი თქმით, 1 აგვისტოდან, ელექტროენერგიის სამსაფეხურიანი ტარიფი 4 თეთრით გაძვირდება:

„არსებული ვითარებისთვის, სამი სახის ტარიფი მოქმედებს: სოციალური — 7-თეთრიანი ტარიფი, რომელიც სემეკის გადაწყვეტილებით, 11 თეთრი გახდება; მეორე, ასევე სოციალური 11-თეთრიანი ტარიფი, რომელიც 15 თეთრი გახდება და მესამე, 15-თეთრიანი ტარიფი, რომელიც 19 თეთრი გახდება. არ გაინტერესებთ, პროცენტულად როგორ გაიზარდა ეს ტარიფები? პირველ კატეგორიას 60%-ით გაუძვირდა, მეორე კატეგორიას — 40%-ით, ხოლო მესამე კატეგორიას — 35%-ით“. ელექტროენერგიის ტარიფი სამი მიზეზით ძვირდება, პირველი მიზეზი ელექტროენერგეტიკის ბიზნესში რეფორმაა, რომელიც 2007 წელს დაიწყო და ჯერ არ დასრულებულა. მეორე ფაქტორია ლარის კურსის მკვეთრი ვარდნა, ხოლო მესამე მიზეზი ისაა, რომ მხოლოდ „თელასს“ გააჩნია გენერაციის ობიექტი, დანარჩენი კომპანიები კი შესყიდულ ელექტროენერგიას ყიდიან“.

ემზარ ჯგერენაიას განცხადებით, დენის ტარიფის ზრდა სამომხმარებლო პროდუქციასაც გააძვირებს. თუმცა მისივე ინფორმაციით, სახელმწიფო სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სუბსიდირებას გეგმავს, ანუ მათ სპეციალურ ვაუჩერებს დაურიგებენ, რისთვისაც ბიუჯეტიდან დაახლოებით, 15 მილიონი ლარი დაიხარჯება: **„ამის მიუხედავად, დენის ტარიფი, როგორც რიგითი მოსახლეობისთვის, ასევე ბიზნესისთვისაც გაიზრდება. ამიტომ ეს პროცესი საკმაოდ მტკივნეული იქნება. მეტიც, აგვისტოში, სავარაუდოდ, ინფლაცია 7%-მდე გაიზრდება, ხოლო ბიზნესი ნაკლებადკონკურენტუნარიანი გახდება. ტარიფების ზრდა წარმოებასაც გააძვირებს, შესაბამისად, პროდუქცია და განსაკუთრებით, პირველადი მოხმარების კვების პროდუქტი, მათ შორის, პურიც გაძვირდება“.**

ვერსიანიუსი

ბრიუსელში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა

ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში, ელჩების დონეზე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის მონაწილეობით, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში მიმდინარე რეფორმები, საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები, რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გარემო და საქართელოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება.

მოკავშირეებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს მიერ რეფორმებში მიღწეული პროგრესი. მათ მადლიერება გამოხატეს საქართველოს მიმართ საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის როგორც ნატო-ს, ასევე ევროკავშირის ოპერაციებში მონაწილეობით.

მათივე ინფორმაციით, მუდმივმა წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ერთგულება ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებისადმი, რომ საქართველო გახდება ალიანსის ნევრი და აღნიშნეს, რომ ალიანსი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. წევრმა ქვეყნებმა ასევე მზადყოფნა გამოთქვეს, აქტიური მონაწილება მიიღონ და წვლილი შეიტანონ უელსის სამიტზე მიღებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელებაში, რომელიც საქართველოს წევრობისთვის მომზადებას უწყობს ხელს.

შეხვედრისას განიხილეს რუსეთის ფედერაციის ნაბიჯები საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმართ, კერძოდ, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების საოკუპაციო რეჟიმებთან რუსეთის ფედერაციის მიერ ე.წ. შეთანხმების ხელმოწერით და „ბორდერიზაციის“ პროცესის გაგრძელებით წარმოქმნილი საფრთხეები და გამოწვევები. მოკავშირეებმა შეშფოთება გამოთქვეს მეზობელი ქვეყნების მიმართ რუსეთის ფედერაციის აგრესიული და უკანონო პოლიტიკის გამო, კიდევ ერთხელ დაადასტურეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ ნატო-ს მხარდაჭერა და არაღიარების პოლიტიკისადმი ერთგულება.

„ინტერპრესნიუსი“

ექსკლუზიური ინტერვიუ ამერიკის საელჩოს პრესატაშეს მოადგილესთან

კორეელი ამერიკელის თბილისური ცხოვრება

მაკა ლომაძე
555-27-95-13

იუნ ნამი წარმოშობით, ჰაბიტუსით და სახელითაც ნამდვილი კორეელია, თუმცა კორეაში დიდხანს არ უცხოვრია — 8 თვის იყო, როცა სამშობლოდან, სამხრეთ კორეადან, ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა, დღეს კი საქართველოს მკვიდრია. როგორ ცხოვრობს ახალგაზრდა დიპლომატი, ამერიკის საელჩოს პრესატაშე მოადგილე ჩვენს ქვეყანაში? კორეელი ამერიკელის თბილისურ ცხოვრებაზე იუნ ნამი თავად გვიამბობს:

— კალიფორნიის უნივერსიტეტში, ლოს-ანჯელესში... ეკონომიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. შემდეგ, ორწლიანი პროგრამა გავიარე ჰავაის უნივერსიტეტში. მოგვიანებით, კორეაშიც ჩავედი სასწავლებლად, სადაც კორეული ენა თავიდან ვისწავლე. როცა პატარა ვიყავი, დედა შინ ყოველთვის კორეულად საუბრობდა. რასაც ვერ ვიტყვი მამაზე — იგი ინგლისურად ლაპარაკობდა და რატომღაც, მე და ჩემი ძმებიც მას ვბაძავდით. გარემოც ხელს გვიწყობდა, სკოლაშიც ინგლისურად ვსწავლობდით, მეგობრებს ინგლისურად ველაპარაკებოდით... დედა ეცადა, შევეყვანეთ კორეულ საკვირაო სკოლაში, მაგრამ მე და ჩემმა დედმამიშვილებმა გავაპროტესტეთ და არ ვიარეთ.

— სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა სად დაიწყეთ?

— ცოტა ხნით უნივერსიტეტშივე ვიმუშავე, მერე კორეაში ვმუშაობდი ორი წლით, საერთაშორისო ივენთ-მარკეტინგის განხრით. ერთი წლით, ჰავაიში, კვლევით ინსტიტუტშიც მომიწია მუშაობა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს 5 წლის წინ შევუერთდი. პირველი საერთაშორისო თანამდებობა კორეაში დავიკავე — საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში ვმუშაობდი, რაც აქაურ სამსახურს ჰგავს. შემდეგ, პაკისტანში, საკონსულოში დავიწყე მუშაობა.

— საინტერესოა, ეკონომისტმა დიპლომატიურ სამსახურში რატომ დაიწყეთ მუშაობა და საქართველოში როდის ჩამობრძანდით?

— დიპლომატია გაცილებით ფართო რამ არის, ვიდრე მხოლოდ გარკვეული ურთიერთობების დამყარება ორ ქვეყანას შორის. რა თქმა უნდა, საელჩოში არის პოლიტიკური სექტორი, თუმცა დიპლომატია გაცილებით მეტი პროფესიისა და რაოდენობის ხალხს ითხოვს. ასე რომ, მეც დიპლომატი მქვია და საზოგადოებასთან ურთიერთობის სექტორში ვმუშაობ. ამას საჯარო დიპლომატია ჰქვია. ჩვენ ვცდილობთ, კონტაქტები დავამყაროთ არასამთავრობო სექტორთან.

რაც შეეხება საქართველოში ჩამოსვლას — პაკისტანში ვმუშაობდი. უკვე ის პერიოდი იყო, სამსახური რომ უნდა გადამებარებინა. კიდევ ერთხელ დავფიქრდი ჩემს არჩევანზე და უცებ იმედგაცრუებული დავრჩი, რადგან მივხვდი, რომ ეს ადგილები არც ისე მაინტერესებდა. საბედნიეროდ, მომეცა საშუალება, ჩამოთვლილი ადგილებიდან არჩევანი საქართველოზეც შემეჩერებინა. აქ მეგობრებიც მყავდა და ჩემი ბევრი კოლეგაც თქვენს ქვეყანაში ნამუშევარი იყო. არაჩვეულებრივი ამბები მსმენოდა საქართველოზე. მაშინვე შევძვერი „ვიკიპედიაში“. ინტერნეტიდან საქართველოს ფოტოები ამოვიღე. ამერიკელი დიპლომატისთვის აქ მუშაობა ძალიან კომფორტულია, რადგან ჩვენს მთავრობებს არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ. ამ ქვეყანამ მოლოდინი გამიმართლა — ყველაფერი, რაც მანამდე გამეგო, სიმართლე აღმოჩნდა. ამ ქვეყანაში ისეთი ადგილები და ხალხია, თავგადასავლების უამრავი შესაძლებლობაა.

— მაინც რომელმა ადგილმა მოახდინა თქვენზე ასეთი განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

— ძალიან ბევრგან ვიყავი. ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია პოლონელი დიპლომატი, რომელსაც მოგზაურობის საოცარი ინტერესი აქვს. ერთად დავდივართ. ის ლეგენდარული პიროვნებაა თბილისში მცხოვრებ უცხოელებს შორის, რადგან ნებისმიერი ადგილი იცის. გასულ კვირას თბილისიდან ქარელამდე ტაქსით წავედით, მერე მტკვარში ნავი შევაცურეთ და მდინარეს დავუყევით, ცოტა ხნით უფლისციხეში შევისვენეთ. ჩემი საყვარელი რეგიონი სამცხე-ჯავახეთია. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო რამ საქართველოში ის არის, რომ აქაური ლანდშაფტი განსხვავებულია. აქ ყველაფერს ნახავთ — მშრალ ადგილებს, ბათუმის რაღაც ნაწილი ჰავაის მაგონებს... მართლაც საოცრად განსხვავებული ადგილებია.

— ამერიკელები შრომისმოყვარე ხალხია. იქნებ, სწორედ ეს არის ზესახელმწიფოს ძლიერების საიდუმლოც. იმ ქვეყნებში, სადაც გიმსახურიათ, მუშაობის განსხვავებული სტილია?

— ამერიკის საელჩოს კედლებში ნამდვილად გვაქვს მუშაობის ამერიკული სტილი. ამერიკელები მართლაც შრომისმოყვარე ხალხია. ბევრი ჩემი მეგობარი ევროპელი კოლეგისგან მსმენია ჩვენზე: ძალიან ბევრს მუშაობთო. ჩვენი სამუშაო დღე ხანგრძლივია. განსაკუთრებით დიდი დრო ელექტრონული ფოსტის შემოწმებას და დაგზავნას მიაქვს. ზოგადად, ბევრი მუშაობა კარგია. სხვათაშორის, კორეელებიც, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე შრომისმოყვარე ერია. რამდენიმე წლის წინ ჩატარებული კვლევის მიხედვით, პირველ ადგილზეც კი იყო. ბოლო დროს იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ ასეთი შრომა მავნებელია ჯანმრთელობისთვის, ოჯახებს საფრთხეს უქმნის, შობადობას ამცირებს და ამიტომ ამ მხრივ, რაღაც უნდა შეიცვალოს.

— დღეს, ამერიკის მოსახლეობის უმთავრესი დაკვეთა რა არის?

— მთავარი მოთხოვნა ახლა მოსახლეობისთვის სახელფასო მინიმუმის გაზრდაა.

— ხშირად, საქართველოში იმასაც კი გაიგებთ, რომ ოჯახის პატივისცემის თვალსაზრისით, ამერიკელებს უნდა მივბაძოთ. არადა, ჩვენს ქვეყანაში ოჯახის სიწმინდე ერთ-ერთი უმთავრესია. ამერიკელებს, მართლა ასეთი პურიტანული მიდგომა აქვთ ოჯახის მიმართ?

— დიახ, მაგრამ ჩემი აზრით, ეს საქართველოშიც ასეა. მეტიც, მგონია, რომ ყველგან ასეა. ოჯახი ათასწლეულების განმავლობაში რჩება საზოგადოების საძირკვლად. არის განსხვავება რეგიონებს შორის, მაგრამ ყველგან, სადაც მიცხოვრია, ოჯახი მნიშვნელოვანია და არსად არავინ დავობს მის შეუცვლელ როლზე. პარალელურ ურთიერთობებს კი, თუ ამყარებენ, ამერიკაშიც ამას ყველა მალავს.

— ამერიკის ან საქართველოს მოქალაქეებთან ურთიერთობაში თუ გიგრძნიათ განსხვავებული დამოკიდებულება თქვენი კორეული გარეგნობის გამო?

— ამერიკასა და საქართველოს შორის, ადამიანებთან მიდგომის თვალსაზრისით, არც ისეთი დიდი განსხვავებაა. ამერიკას „იმიგრანტების მიწას“ უწოდებენ. როცა ვინმეს გამოველაპარაკები და ვამბობ, ამერიკელი ვარ-მეთქი, სად დაიბადეო, მეკითხებიან. მათი მესმის. ანტაგონიზმი არასდროს მიგრძნია არც აქ და არც აშშ-ში, თუმცა მსმენია, რომ უსიამოვნო გამოცდილება ჰქონია ზოგიერთს საქართველოშიც, მაგრამ მგონია, რომ ასეთივე ალბათობით, ასეთივე შემთხვევები ექნებათ სხვა ქვეყნებშიც. შეიძლება, ვიღაც ბავშვმა თქვას რამე, მაგრამ ზოგადად, ხალხი საკმაოდ ტოლერანტულია. საქართველოში ჩემი ერთადერთი პრობლემა ენის ბარიერია. 6 თვე ვსწავლობდი ამერიკაში, მაგრამ ვერ ვლაპარაკობ ქართულად (თუმცა, ეს ორი წინადადება უშეცდომოდ ჩამოაყალიბა, — ავტ.) ერთხელ, სუფრაზე დამპატიჟეს. დავაგვიანე და მოვუბოდიშე. დედამ დამსვა მაგიდასთან. მამა კარგად საუბრობდა ინგლისურად. მომიყვა, როგორ დააყენა ღვინო. ძალიან მომეწონა ეს დამოკიდებულება. ქართველებს გამოგარჩევთ სტუმართმოყვარეობა. ისე, კორეაშიც ასეა და იქაც, ბებიები შვილიშვილებს სულ აძალებენ, მეტი ჭამეო. მეც ასე მაძალებდნენ ხოლმე ბებიები, როცა სტუმრად ჩავდიოდი. დედაც ასეთია — სტუმრად მოსული ჩემი მეგობარი თუ კარგად დანაყრდება, დედა ბედნიერია. ის ყოველთვის კორეულ კერძებს ამზადებს, მით უმეტეს, ჩემს ამერიკელ და ქართველ მეგობრებს, კორეული სამზარეულო ძალიან აინტერესებთ.

— ქართველ მეგობრებთან თავისუფალ დროს როგორ ერთობით?

— როგორც კი ვასრულებ სამუშაოს, მთებში მივდივართ. ჩვენი შემდეგი მარშრუტი რაჭაა. ასევე, კოდაში, მოხალისედ ვმუშაობ — ბავშვებს ინგლისურს ვასწავლი. ახლახან, სეზონის დამთავრების წინ, კარაოკე წვეულება მოვაწყვეთ, მაგრამ უფრო იცეკვეს, ვიდრე იმღერეს. პიცა მივიტანეთ, ძალიან გაუხარდათ.

— სამშობლოში ჩასვლას ხშირად ახერხებთ?

— დიახ. ჩემი ნათესავებიც ხშირად ჩამოდიან აქ. ჩემი სამივე ძმა ამერიკაში ცხოვრობს, მაგრამ კორეაში ბევრი ნათესავი მყავს და მათთან ურთიერთობას არასოდეს ვწყვეტ.

საქართველოს უფროსმა სამხედრო წარმომადგენელმა „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის სარდლის მოადგილისგან მადლობის წერილი მიიღო

საქართველოს შეიარაღებული ძალების 31-ე ბატალიონის ნაკრები ასეულის მიერ, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის მთავარი შტაბბინის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შეტანილი წვლილისთვის, საქართველოს უფროსმა სამხედრო წარმომადგენელმა ავღანეთში, პოლკოვნიკმა მამუკა ქავთარაძემ „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის სარდლის მოადგილისგან, გენერალ-ლეიტენანტ პაოლო რუგიეროსგან მადლობის წერილი მიიღო: **„მინდა, ჩემი მადლიერება გამოვხატო ქართული დანაყოფის მიმართ, რომლებიც „მტკიცე მხარდაჭერის“ შტაბბინის ძალთა დაცვის ამოცანებს ასრულებენ. მათი წვლილი ავღანეთში არსებული მთავარი ბაზის დაცვასა და მხარდაჭერაში შეუფასებელია. ქართული ასეულის ჩამოსვლის შემდეგ, მქონდა შესაძლებლობა, მენახა საქმისადმი მათი დამოკიდებულება და ერთგულება. ბოლო რამოდენიმე თვის განმავლობაში, დანაყოფმა ეფექტურად გაუწია ორგანიზება ათეულობით სწავლებას და ლიდერის საუკეთესო თვისებები გამოავლინა. ისინი მაღალი დონის პროფესიონალები არიან და ძალისხმევას არ იშურებენ საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად. ასეული წარმოუდგენლად ეფექტურად ასრულებს მათზე დაკისრებულ ამოცანებს კოალიციურ სარდლობასთან კოორდინაციაში. ქართული დანაყოფის ეფექტურობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დანაყოფში არსებული მაღალი დისციპლინაა. კაპიტან ჯალაღონიასა და მისი ასეულის მიერ ჩატარებული სამუშაოები, თავდადება, ჟინი და პროფესიონალიზმი ამტკიცებს თქვენი ქვეყნის პოზიტიურ რეპუტაციას“.**

პაოლო რუგეროს წერილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

„ინტერპრესნიუსი“

ალექსანდრე კვიტაშვილმა მინისტრთა კაბინეტის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა

უკრაინის ჯანდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა კიევის საოლქო ადმინისტრაციულ სასამართლოში მინისტრთა კაბინეტის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, კვიტაშვილი სასამართლოსგან მოითხოვს, პრემიერ-მინისტრ არსენ იაცენიუკს და მინისტრთა კაბინეტს აუკრძალოს სამსახურებრივი მოკვლევის შედეგების განხილვა, რომელიც მასთან და მის პირველ მოადგილესთან მიმართებაში გატარდა.

საქმეში მოპასუხე მხარედ უნდა გამოვიდეს 14 სახალხო დეპუტატი, რომლებიც არიან იმ კომისიის წევრები, რომელმაც ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის მოვალეობების შედეგები უნდა გამოიკვლიოს.

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა არსენ იაცენიუკმა აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს დაავალა, 10 ივლისამდე ჩაეტარებინათ სამსახურებრივი მოკვლევა ალექსანდრე კვიტაშვილისა და მისი პირველი მოადგილის, ალექსანდრე პავლენკოს მიერ რამდენად სათანადოდ ხდებოდა სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულება.

„ინტერპრესნიუსი“

ზურაბ ჟვანია



სკანდალური საქმე

სპეციალური რეპორტაჟი სასამართლო პროცესიდან

სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლის სკანდალური ჩვენება

რატომ ეძახდნენ მიხეილ ძაძამიას „მიუნჰაუზენს“, ვისთან ერთად იყო რესტორანში ჟვანიას გარდაცვალების დღეს და რა აღიბი აქვთ პრემიერის დაცვის ბრალდებულ წევრებს

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

მეორე კვირაა, თბილისის საქალაქო სასამართლოში, გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრების, კობა ხარშილაძისა და მიხეილ ძაძამიას საქმის განხილვა მიმდინარეობს. 22 ივლისს სასამართლო პროცესს პროკურორი რევაზ ნადოი არ ესწრება, დაცვის მხარის წარმომადგენლები კი, როგორც ყოველთვის, სრული შემადგენლობით არიან და მაგიდაზე დალაგებულ საბუთებს გაფაციცებით ათვალიერებენ.

მოსამართლე ეკა არეშიძე მსაჯულებს განუმარტავს, რომ პროცესს ოთხი მოწმე დაესწრება: კახაბერ ჭოლოკავა, ბადრი დიღმელაშვილი, გიორგი ჟორჟოლიანი და ზვიად ბიძინაშვილი. იმ პერიოდში, როცა ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა, ისინი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წევრები იყვნენ. მოწმეების გვარების ხსენებაზე დარბაზში მყოფებს აღშფოთება ეტყობათ — ისინი მიხეილ მაჭავარიანის, ხათუნა გოგორიშვილისა და გიორგი ბარამიძის დაკითხვას ელოდნენ, თუმცა მათი დაკითხვა ჯერ არ ხერხდება, რადგან ბრალდების მხარის მოწმეების დაკითხვა ჯერ არ დასრულებულა.

დარბაზში პირველი მოწმე **კახაბერ ჭოლოკავა** შემოდის. ჟვანიას გარდაცვალების დროს იგი „ცენტრი ერთის“ თანამშრომელი იყო. ამბობს, რომ კონტაქტი „ცენტრი ერთმა“ გარდაცვლილ პრემიერთან მაშინ დაკარგა, როდესაც იგი შარტავას ქუჩაზე, დედის სახლში იყო. თავად ეს ინფორმაცია კი ჟურნალში მხოლოდ ტექნიკური ხარვეზის გამო არ მოხვდა: **„როგორც გავიგე, ეს ინფორმაცია ჟურნალში მექანიკურად არ იყო ჩაწერილი. მოძრაობის დაწყება და დასრულება გატარებული არ იყო, თუმცა რეალურად, ეს მხოლოდ ტექნიკური ხარვეზი იყო. როდესაც გაიხსნა შავი ყუთი, სადაც ყველა ინფორმაცია იწერება, გავიგეთ, რომ ინფორმაცია მიღებული იყო. რაც შეეხება საბურთალოს №53 მდებარე ბინას, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი“.**

ჭოლოკავამ „ცენტრი ერთში“ გადაადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობაზეც ისაუბრა და განმარტა, რომ ეს სავალდებულო იყო. ინფორმაციის არმიწოდება კი — დანაშაული. მოწმემ ასევე განაცხადა, რომ ჟვანიას გადაადგილების შესახებ ინფორმირებული სამი სტრუქტურა იყო: **„ყველა დაცვის წევრს აქვს მინიჭებული საძახილი. ბატონი ჟვანიას დაცვის წევრებსაც თავიანთი საძახილი ჰქონდა. როდესაც „ცენტრი ერთში“ ინფორმაცია შემოდიოდა, ამის შესახებ ინფორმაციას ავტომატურად ღებულობდა სამი უწყება: „ცენტრი ერთი“, ოპერატიული სამმართველო და შსს“.**

დაცვისა და ბრალდების მხარის კითხვების ამოწურვის შემდეგ მსაჯულების კითხვებმაც არ დააყოვნა. ისინი დაინტერესდნენ, იცოდა თუ არა „ცენტრი ერთის“ მაშინდელმა თანამშრომელმა ცრუ ესკორტის შესახებ, რომელიც საქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალია. მოწმემ განაცხადა, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა და „ცენტრი ერთში“ მხოლოდ რეალური ინფორმაცია შედიოდა.

შემდეგი მოწმე ბადრი დიღმელაშვილია. დარბაზში ის, ცოტა არ იყოს, დაბნეული და ნელი ნაბიჯებით შემოდის. საშუალო სიმაღლის კაცია. ამბობს, რომ ახლა მათემატიკის მასწავლებელია და კერძო სკოლაში ასწავლის. ჟვანიას გარდაცვალების პერიოდში კი „ცენტრი ერთში“ შემოსულ ინფორმაციას კოორდინირებას უწევდა. მოწმემ კიდევ ერთხელ დაადასტურა წინა მოწმის ჩვენება და განმარტა, რომ შარტავას ქუჩაზე პრემიერის ყოფნა „ცენტრი ერთში“ მართლაც დაფიქსირდა.

დიღმელაშვილის შემდეგ დარბაზში მესამე მოწმე **გიორგი ჟორჟოლიანი** შემოდის. საშუალო სიმაღლის, აშკარად აფორიაქებულია. რომ არა მისი ჩვენება და „ზედმეტად გულწრფელი“ მოგონებები, დღევანდელი სხდომა გასულისგან განსხვავებული არაფრით იქნებოდა. ჩვენების მიცემისას ის ან ზედმეტად გულწრფელი იყო ან უბრალოდ, ხუმრობდა. პროკურორის შეკითხვაზე, რა ურთიერთობა ჰქონდა განსასჯელებთან, ჟორჟოლიანმა უპასუხა: **„ძაძამიას მრავალი წელია ვიცნობ. კობასთან სამსახურეობრივი მოვალეობა მაკავშირებდა. ჟვანიას კი კარგად ვიცნობდი. ჩემი ოჯახი ძალიან ახლოს არის ჟვანიას ოჯახთან. ძალიან ახლო ურთიერთობები გვაქვს. პერიოდულად დღესაც ვეხმიანებით ერთმანეთს. ძაძამიას მანამდეც ვიცნობდი, მაგრამ, როდესაც პირადი დაცვის სამმართველოში დავიწყე მუშაობა, მას შემდეგ უფრო დავახლოვდით. ვიცნობდი მის პირველ ცოლს, რომელსაც სამწუხაროდ გაშორდა. საკმაოდ ახლო ურთიერთობა გვქონდა. ხშირად ვიკრიბებოდით ერთად. საბილიარდოშიც ერთად დავდიოდით“.**

პროკურორის მორიგ შეკითხვაზე, როგორ დაახასიათებდა ძაძამიას, ჟორჟოლიანს ამგვარი პასუხი ჰქონდა: **„რა ვიცი, აბა. მოსწონდა ყურადღების ცენტრში ყოფნა, განსაკუთრებით მანდილოსნების მხრიდან. უყვარდა სხეულის გამოჩენა და მისი ფორმების თამაში. ისე, ტყუილების ლაპარაკიც უყვარდა, გაფორმებული ლაპარაკი. მაგრამ ბოროტული არაფერი. აი, გულში რომ გაგეცინება, ეგეთი. მაგალითად, ამბობდა, ავსტრალიაში ვიყავიო, არადა ხაშურს არ იყო გაცდენილი. დაცვის უფროსი მაშინ კახა გოჩაშვილი იყო. ისეთი სამსახურისთვის, რომელიც სერიოზულობას მოითხოვს, შემიძლია გითხრათ, რომ ის უფრო შესაბამისი იყო, ვიდრე ძაძამია. ძაძამიას ზედმეტსახელად „მიუნჰაუზენს“ ვეძახდით“.**

ძაძამიას დახასიათებისას საუბარში მოსამართლე ეკა არეშიძეც ჩაერთო. პროკურორს მოუწოდა, კითხვების მიმართულება შეეცვალა. მოწმეს კი, კორექტული საუბარი მოსთხოვა: „ქალებს როგორ ხიბლავდა, ჩვენ არ გვაინტერესებს. უხერხულია“. მოწმის საუბრის შემდეგ სასამართლო დარბაზში, რამდენიმე წამის განმავლობაში სიცილ-კისკისი ისმოდა. ერთგვარი განტვირთვაც იყო, ხარშილაძეც კი იცინოდა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში, გაღიმებული ერთხელაც არ მინახავს.

დარბაზში შექმნილი განწყობა ახალი ინფორმაციის გაჟღერებამ შეცვალა — აღმოჩნდა, რომ ჟვანიას გარდაცვალების დღეს, ჟორჟოლიანი ძაძამიასთან ერთად იმყოფებოდა რესტორანში და მისი ალიბი იყო: **„იმ დღეს მოვილაპარაკეთ, მეგობრებთან ერთად რესტორანში წავსულიყავით. ზუსტი დრო არ მახსოვს, 10-11 საათი იქნებოდა. რესტორან „მოსკოვში“ წავედით, სანაპიროზე. გზაზე მისი მეგობარი გოგონა ავიყვანეთ. მერე კიდევ სხვა მეგობრებიც მივიყვანეთ. შემდეგ მიშას ტელეფონზე დაურეკეს. გავიდა და მალევე შემობრუნდა. საქმე მაქვს, უნდა წავიდე და მალე მოვალო. როგორც მახსოვს, მართლაც მალე დაბრუნდა. ვქეიფობდით, ზოგი სვამდა, ზოგი ჭამდა. რესტორანი რომელ საათზე დავტოვეთ, ზუსტი დრო არ მახსოვს, ალბათ პირველი საათი იქნებოდა. საბილიარდოში წავედით. საბურთალოზე, პავლოვზე. არც იქ მახსოვს, რამდენი დრო დავყავით, მაგრამ ერთი პარტია ვითამაშეთ. ალბათ იქ ერთი საათი დავრჩებოდით. ამის შემდეგ ძაძამია აღარ მინახავს“.**

მოწმე გიორგი ჟორჟოლიანმა ჟვანიასა და ძაძამიას ურთიერთობაზეც ისაუბრა. გარდაცვლილი პრემიერი დადებით პიროვნებად დაახასიათა. ძაძამიაზე კი განაცხადა, რომ ჟვანიას ის გააზრებულად ზიანს არასდროს მიაყენებდა.

ჩვენების დასასრულს მოწმეს კონკრეტული კითხვები ნაფიცმა მსაჯულებმა დაუსვეს:

— როდესაც ძაძამიამ ტელეფონზე ზარის შემოსვლის შემდეგ დაგტოვათ და გითხრათ, რომ მალე მოვიდოდა, ჰკითხეთ, ვის შეხვდა და რა საქმეზე იყო გასული?

— ვერ ვიხსენებ, რომ ასეთი შეკითხვები დასმულიყო ჩვენს შორის. მთავარი ის იყო, რომ თქვა, მოვალო და მოვიდა. ზედმეტი კითხვები არ დამისვამს.

— იმიტომ არ ჰკითხეთ ძაძამიას, სად მიდიხარო, რომ იფიქრეთ, პრემიერთან დაკავშირებულ საქმეზე გადიოდა?

— დიახ. ჩავთვალე, რომ სამსახურის გამო გადიოდა.

— დაბრუნების შემდეგ, უკავშირდებოდა თუ არა ვინმეს ტელეფონზე, ან მცდელობა მაინც თუ ჰქონდა?

— არა, არ შემიმჩნევია.

— შეგიძლიათ, გაიხსენოთ, ქეიფის დასრულების შემდეგ რა მიმართულებით წახვედით?

— მე და მიშა წავედით საბილიარდოში. ჩემი მეგობრები სხვაგან.

— საბურთალოს ბინის შესახებ რაიმე იცით? ყოფილხართ იმ ბინაში, სადაც გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრი ნახეს?

— საბურთალოს ბინის შესახებ არაფერი ვიცი. ამის შესახებ მხოლოდ პროკურატურაში შევიტყვე.

ნაფიცმა მსაჯულებმა ჟორჟოლიანთან კითხვები ამოწურეს. ჩვენების მისაცემად კი მოსამართლემ 22 ივლისის სხდომის ბოლო მოწმე, ზვიად ბიძინაშვილი გამოიძახეს. წინამორბედების მსგავსად, ისიც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი იყო. იცნობდა როგორც ბრალდებულებს, ასევე პრემიერსაც. მისი განცხადებით, იმ დღეს ხარშილაძე რესტორანში სწორედ მასთან ერთად იყო: **„იმ დღეს სამსახურში ვიყავით, მაგრამ დილით შევიცვალეთ და ახალმა ცვლამ ჩაგვანაცვლა. დავისვენეთ. გადავწყვიტეთ, რესტორანში წავსულიყავით. რამდენიმე დღით ადრე ეს დაგეგმილი იყო. დაახლოებით ექვსი საათი იქნებოდა მცხეთაში რომ ჩავედით. რესტორანში ვიყავით ზურაბ ჭყოიძე, ზვიად ხმალაძე, ოთარ კობერიძე და მე. დაახლოებით 5 საათში, სუფრაზე დასხდომის შემდეგ, კობა ხარშილაძე და ალეკო ბობოხია შემოგვიერთდნენ. ზუსტად არ მახსოვს, შეზარხოშებულები ვიყავით. დაახლოებით ერთ საათში კობა და ალეკო წავიდნენ.**

დასასრული მე-7 გვერდზე

უკრაინისა და ყაზახეთის გარდა რეგიონში არც ერთ ქვეყანას არ აქვს ელექტროენერგიის უფრო იაფი ტარიფი

გიორგი იაშვილი

ჯერჯერობით ასეა გადაწყვეტილი — ენორგო-პრო ჯორჯიას მომხმარებლისთვის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი) ტარიფი 3.348-ით გაზარდა. ეს იმის მიუხედავად, რომ თავად ენერგოკომპანია ტარიფის გაზრდას 4.8 თეთრით ითხოვდა და ისეთი პირი უჩანს, სემეკის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს. მოსახლეობას კი არაფრის გაგონება არ სურს. მათთვის სულ ერთია, რამდენით მოიმატებს ტარიფი, მთავარია, რომ იმატებს და რაღა თქმა უნდა, ოპოზიციის წაქეზებით, მოსახლეობა ხელს ხელისუფლებისკენ იშვერს, თუმცა...

თავად ენერგო-პროს დირექტორის მოადგილეც აღიარებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ტარიფის ფასი არ გაიზრდება, კომპანია იძულებული გახდება ზამთარში გრაფიკი დააწესოს, პარალელურად კი ბაზრიდან წასვლაზე იფიქროს. ამ ტარიფით მუშაობას ენერგო-პრო გამორიცხავს, რადგან კომპანია რეალურად მილიონობით ზარალზე მიდის. ეს იმითაა განპირობებული, რომ დოლარი არამარტო ლართან, არამედ სხვა ვალუტასთან მიმართებაშიც გამყარდა და კომპანია ელექტროენერგიისთვის საწარმოებელ გაზს სწორედ დოლარში ყიდულობს, დენს კი ლარში ყიდის. დოლარის გამყარების გარდა ელექტროენერგიის ტარიფზე გავლენას ახდენს მოხმარების გაზრდა. 2010 წელთან შედარებით, მოხმარება 15%-ით არის გაზრდილი, რაც ეკონომიკური აქტივობის გაზრდას უკავშირდება. ეკონომიკური აქტივობის გარდა, რამდენიმე სოფელში, სადაც ელექტროენერგია წლების განმავლობაში არ იყო, ხელისუფლებამ დენი შეიყვანა, რაც თავისთავად მომხმარებლის რაოდენობის გაზრდას ნიშნავს. თქმა არ უნდა, გაზრდილი გადასახადი მოსახლეობას მძიმედ დააწვება და ეს განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ფენაზე იმოქმედებს, მაგრამ ხელისუფლება მზად არის, სოციალურად დაუცველებს გვერდში დაუდგეს.

მთავრობის სხდომაზე, პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** განაცხადა, რომ ხელისუფლება სოციალურად დაუცველ მოსახლეობას მაქსიმალურად დაეხმარება: **„ჩვენ მაქსიმალურად სამართლიანად ვცდილობთ მოვექცეთ ჩვენ მოსახლეობას. როგორც კი დადგინდება საბოლოო ტარიფი, მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომ მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენებს ახალი ტარიფი ტვირთად საერთოდ არ დააწვეს. მინდა ფინანსთა, ეკონომიკის და ენერგეტიკის მინისტრებს დაგავალოთ, რომ სუბსიდირების საბოლოო ვარიანტი წარმოვადგინოთ. მოსახლეობას უნდა წარვუდგინოთ სუბსიდირების ის სქემა, რომელსაც ერთობლივად შევიმუშავებთ. მოსახლეობამ ეს არ უნდა იგრძნოს საკუთარ ჯიბეზე. ჩვენ პირველ რიგში აქცენტს გავაკეთებთ განსაკუთრებით გაჭირვებულ მოსახლეობაზე. ანუ მათზე, ვინც საჭიროებს ჩვენგან დახმარებას“.**



მთავრობის გადაწყვეტილებით, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ტარიფი ტვირთად არ დააწვება. ამის მიუხედავად, ოპოზიციური პარტიები ამ თემის სკანდალად ქცევას აპირებენ და მოსახლეობას მოუწოდებენ, აღნიშნულზე მძაფრი რეაქცია ჰქონდეს. არადა, ტარიფის კორექტირების შემდეგ, ფაქტობრივად, მივიღეთ იგივე ტარიფი, რაც დადგენილი იყო მოსახლეობისათვის, სანამ სემეკისა და მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად სამომხმარებლო ტარიფი 3,55 თეთრით დაიწევდა. ანუ, გვაქვს დოლარის კურსის გამყარების ზეგავლენა ტარიფზე და გაზრდილი მოხმარება, მაგრამ მაინც მინიმუმამდეა დაყვანილი განსხვავება. რაც უნდა მტკივნეული იყოს, უნდა ვაღიაროთ, რომ იაფი ელექტროენერგია არის მხოლოდ პოპულიზმის თემა. დღეს რეგიონში, უკრაინისა და ყაზახეთის გარდა, არცერთ ქვეყანას არ აქვს უფრო იაფი ტარიფი. 2014 წლის მდგომარეობა რომ ავიღოთ, ჩვენ მეზობელ სომხეთს, რომელსაც ატომური ელექტროსადგური აქვს, ტარიფი ჩვენზე 1,5-ჯერ მეტი აქვს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს კი 2-ჯერ და 3 ჯერ მეტია. მეზობელ აზერბაიჯანსაც კი, რომელიც ენერგოდამოუკიდებელი ქვეყანაა და თავად აწარმოებს ელექტროენერგიის ექსპორტს, სამომხმარებლო ტარიფი უფრო მაღალი აქვს, ვიდრე საქართველოს, რომელსაც საკუთარი ელექტროენერგია წლის განმავლობაში მხოლოდ 3-4 თვით აქვს.

სემეკში აცხადებენ, რომ გადაწყვეტილება მძიმე, მაგრამ აუცილებლად მისაღები იყო. თუ სემეკი ტარიფის კორექტირებაზე გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, უპერსპექტივოდ დატოვებდა კომპანიებს, რომლებსაც დოლარის ვალუტის გამყარების გამო მდგომარეობა დაუმძიმდათ და საკმარისი ფინანსური რესურსი არ დარჩათ ინფრასტრუქტურისთვის, გაზრდილი მოხმარების შესაბამისად განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. ასეთ პირობებში შესაძლოა მცირედი ავარია, სადენების გაწყვეტა, ბუნებრივი მოვლენა იქცეს მნიშვნელოვანი კატასტროფის მიზეზად, რაც სახელმწიფოსაც და მოსახლეობასაც ბევრად ძვირი დაუჯდებოდა, ვიდრე რამდენიმე თეთრით გაზრდილი ტარიფია. ახლა მთავარია, მთავრობამ და სემეკმა სწორი კომუნიკაცია აწარმოოს მოსახლეობასთან და აუხსნას, რა პუნქტებით, რატომ კორექტირდა სამომხმარებლო ტარიფი.

დღევანდელმა ვითარებამ დაგვანახა, რომ სამომავლოდ, რათა საქართველოს ჰქონდეს უფრო იაფი და სტაბილური ელექტროენერგია, აუცილებელია ჰესების, მათ შორის, დიდი ჰესების აშენება. მთავრობა ამ საკითხს სერიოზულად უნდა მიუდგეს და არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღების შიშით არ უნდა თქვას უარი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ პროექტებზე. დიდი ჰესები არაპოპულარული თემაა, მაგრამ მთავრობა ვალდებულია, გააკეთოს ის, რაც საჭიროა.

საქართველოს დღეს საკუთარი ენერგორესურსები მხოლოდ 3-4 თვის განმავლობაში ჰყოფნის. დანარჩენი იმპორტირებული ელექტროენერგიით ივსება. სწორედ იმიტომ, რომ იმპორტირებული ენერგიის საფასურის გაზრდა და სხვა მსგავსი რისკის შემცველი ფაქტორები სამომავლოდ თავიდან ავიცილოთ, მნიშვნელოვანია საკუთარი ენერგორესურსების გამდიდრება. რა თქმა უნდა, ჰესები უნდა აშენდეს სათანადო უსაფრთხოებისა და გარემოზე ზემოქმედების ფაქტორების გათვალისწინებით. თუმცა ენერგოდამოუკიდებლობისა და ეკონომიკური ზრდისათვის საკუთარი ენერგიის წყაროები უალტერნატივოა.

სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლის სკანდალური ჩვენება

მე-6 გვერდიდან

ჩვენ კი დავრჩით და ქეიფი გავაგრძელეთ. 4-ის წუთები იქნებოდა, როდესაც განგაშის ზარი დაირეკა. დაუყონებლივ უნდა მივსულიყავით სახელმწიფო კანცელარიაში, იქიდან კი, საბურთალოს ქუჩა №53-ში. მგონი, სადარბაზოსთან გავაჩერეთ მანქანები. რომ შევგროვდით, მკაფიოდ მახსოვს კობას სიტყვები — გამოვიდა სადარბაზოსთან და გვითხრა, ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა, ზურაბ ჟვანია ცოცხალი აღარ არისო. ეს იყო შოკისმომგვრელი სიტყვები. არაფრით ველოდებოდით ამას“.

მოწმემ ისიც განაცხადა, რომ დაცვის ობიექტის დატოვება დაუშვებელია, თუმცა იყო შემთხვევები, როცა ჟვანია დაუმორჩილებელი იყო. მან რამდენიმე შემთხვევაც გაიხსენა. კერძოდ, „სამხრეთ ოსეთში“ მომხდარი არეულობა და აჭარის რევოლუცია. მაგალითისთვის კი ის შემთხვევა გაიხსენა, რომ აჭარის რევოლუციის დროს, ხარშილაძე ჟვანიას ხიდზე გადასვლის ნებას არ აძლევდა, მაგრამ ჟვანიამ მაინც ის გააკეთა, რაც სურდა.

23 ივლისს საქალაქო სასამართლოში ბრალდების მხარის კიდევ ორი მოწმე დაკითხეს. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი ზურაბ ჭყოიძე და გარდაცვლილი პრემიერის პირადი ექიმი ზურაბ ფაღავა.

ჭყოიძე ბრალდებულებსაც იცნობდა და გარდაცვლილ პრემიერსაც. მისი გარდაცვალების შემდეგ სწორედ მან გამოასვენა ზურაბ ჟვანია საბურთალოს №53-ში მდებარე ბინის კარიდან მანქანამდე. ამბობს, ოთახშიც შევიხედე და დავინახე, რომ პრემიერი იატაკზე იწვაო. ჭყოიძეს არ ახსენდება, ზურაბ ჟვანიას ცხედარზე რაიმე სახის დაზიანება შეენიშნოს. სხეულზე დაზიანებების შესახებ, მას კონკრეტული კითხვა, დაცვის მხარემ დაუსვა:

— ბატონო ზურაბ, გულწრფელად გვითხარით და გააგებინეთ მთელ საქართველოს, ჰქონდა თუ არა პრემიერს რაიმე სახის დაზიანება?

— მართალია, ბატონო ზურა ავწიე და გადმოვასვენე, მაგრამ ემოციურად ძალიან განვიცდიდი და შეიძლება, ვერ შევამჩნიე. შეიძლება, ჰქონოდა კიდეც რამე. მე არაფერი შემიმჩნევია.

— რამე რომ ყოფილიყო, შეგიშლიდათ ვინმე ხელს, რომ გელაპარაკათ?

— არა, მე მაშინაც სიმართლეს ვლაპარაკობდი და ახლაც.

დაცვის მხარის წარმომადგენელი გიორგი გელხაური, მოულოდნელად, მოწმესთან მიიჭრა და სთხოვა, თვალებში ჩაეხედა. „მითხარით, ატყობთ თუ არა ჩემს სახეზე რაიმე ტიპის დაზიანებას?“, — ჰკითხა მან ჭყოიძეს, რამაც მოწმე დააბნია. ამ სცენას მოსამართლე გაოცებული უყურებდა, დარბაზში მსხდომნი კი სიცილს ვერ იკავებდნენ. გელხაურმა განმარტა, რომ მისი მიზანი იყო, დაედგინა, რა მანძილზე შეეძლო მოწმეს იმის განსაზღვრა, ჰქონდა თუ არა ადამიანს რაიმე დაზიანება. გამომდინარე იქიდან, რომ გელხაურს სახეზე დაზიანება არ ჰქონდა, მოსამართლემ ეს კითხავა უადგილოდ ჩათვალა.

ბრალდებისა და დაცვის მხარეების შეკითხვების ამოწურვის შემდეგ, ნაფიცმა მსაჯულებმა მოწმეს კიდევ ერთხელ დაუსვეს იგივე კითხვა. მოწმემ განაცხადა, რომ იმ დღეს ემოციურად აღელვებული იყო და არაფერი შეუნიშნავს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ღამეს, ჭყოიძე დაცვის სხვა თანამშრომლებთან ერთად რესტორანში იმყოფებოდა, სადაც მისი განმარტებით, საღამოს 9 საათზე, სუფრასთან მყოფთ, მათი დაცვის უფროსი კობა ხარშილაძე და ალეკო ბობოხია შეუერთდნენ. მათ დალოცეს სუფრის წევრები და დაახლოებით ერთ საათში წავიდნენ.

დარბაზში მეორე მოწმე შემოჰყავთ. კარდიოლოგი ზურაბ ფაღავა პრემიერის პირადი ექიმი იყო. ამბობს, რომ გარდაცვალებამდე ჟვანიას სამჯერ შეხვდა. ბოლო შეხვედრა კი 31 იანვარს შედგა. რაიმე განსაკუთრებული მისთვის არაფერი შეუნიშნავს. ჟვანიას არც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. ექიმმა ისიც განაცხადა, რომ ჟვანია იმ პერიოდში აპირებდა სიგარეტისთვის თავის დანებებას, მაგრამ რამდენად ახერხებდა ამას, უცნობია.

2005 წლის 2 თებერვალს, დაახლოებით ექვსის ნახევარზე, მას შემდეგ, რაც ჟვანიას გარდაცვალების შესახებ შეიტყო, საბურთალოს ქუჩა №53-ში მივიდა. გარდაცვლილის ნახვის უფლება ხარშილაძემ არ მისცა — უმჯობესი იქნება, თუ ჯერ პოლიცია დაათვალიერებსო. ექიმიც „დაემორჩილა“. მას არც ცხედრის დათვალიერების სურვილი გასჩენია, რადგან, როგორც თავად ამბობს, ამ საქმის სპეციალისტი არ არის და ფიქრობდა, რომ ამას კომპეტენტური პირები უკეთ შეძლებდნენ: **„მაშინ, ჩემს გვერდით იყვნენ კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლები. გამომდინარე იქიდან, რომ არ ვარ იმუნოლოგი და ექსპერტი, გადავწყვიტე, მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო, მისი სხეულის დათვალიერება სწორი არ იქნებოდა“.**

ზურაბ ჟვანიას საქმეზე ბრალდებულების, კობა ხარშილაძისა და მიხეილ ძაძამიას საქმის მომდევნო განხილვა სამშაბათს, 28 ივლისს განახლდება.

პატიმარი №0578

სამართალდამცველისა და ყაჩაღების შეთანხმება

როგორ შეწირა თანამდებობა პოლიციის უფროსმა ბრალდებულებისთვის დანაპირების შესრულებას

როგორც წესი, პატიმრები პოლიციელებს ვერ იტანენ და პირიქით — პოლიციელებსაც არ ეხატებათ გულზე სამართალდამცავები. თუმცა ყოფილა შემთხვევა, ორივე მხარე, ერთმანეთის მიმართ პატივისცემით განმსჭვალულა და საამისოდ მიზეზიც ჰქონდათ. თანაც, ეს იმის მიუხედავად მოხდა, რომ მათ ცნობიერებაში, პრაქტიკულად, არაფერი შეცვლილა.

რუსთავის №17 დაწესებულებაში სამი მეგობარი იხდიდა სასჯელს. ყაჩაღობაზე დაიჭირეს, თუმცა მათი დაჭერა არ იყო ჩვეულებრივი და რიგითი სპეცოპერაცია. მათ, სადაც ცხოვრობდნენ, იმ რაიონის პოლიციის უფროსი ორი თვე ტყე-ტყე დასდევდა. როცა ამ ისტორიას ყვებოდნენ ხოლმე, გულიანად იცინოდნენ და თან იმ პოლიციის უფროსს ლოცავდნენ, რომ არ დაგვხოცა, მაგარი კაცი ყოფილაო.

„აზერბაიჯანელის სახლი უნდა დაგვეყაჩაღებინა. ბარიგა იყო და ვიცოდით, ფულის გარდა ასი ათასზე მეტის ღირებულების წამალი ჰქონდა. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, მაგრამ როგორც ჩანს, აზერმა გვიცნო და მეორე დღეს პოლიციამ ჩვენი გვარები იცოდა. სახლში რა გაგვაჩერებდა, რაიონი უნდა დაგვეტოვებინა, მაგრამ ერთადერთ გზად ტყე იყო დარჩენილი, რადგან პოლიციას ყველაფერი გადაეკეტა. პოლიციის უფროსი, დათო ა. ახალი დანიშნული იყო თანამდებობაზე და სიმართლე გითხრათ, მის შესახებ არაფერი ვიცოდით. ერთი ეგ იყო, გვითხრეს, აფხაზეთი და სამაჩაბლო აქვს გამოვლილი და ისე მიდიოდა ტყვიაზე, თვალს არ ახამხამებდაო. რაიონიდან გასვლა ტყით გადავწყვიტეთ და წავედით კიდეც. გზა აგვებნა, შემაღლებულ ადგილზე ავედით და გარემოს გადავხედეთ. ერთი კაცი დავაფიქსირეთ, რომელიც აჩქარებული ნაბიჯით მოდიოდა და მხარზე ავტომატი ეკიდა. მივხვდით, ჩვენი მდევარი იყო, რადგან მთელი პოლიცია გვეძებდა და ამ დროს ვიღაც ავტომატით სიარულს ვერ გარისკავდა. იმ კაცს ჩავუსაფრდით და როცა მოგვიახლოვდა, ვიცანით — პოლიციის ახალი უფროსი იყო. მაგის მოკვლა შარიაო, გადავწყვიტეთ. გვინდოდა გაგვეტარებინა, მაგრამ არ გამოგვივიდა — თითქოს ჩვენს ნაკვალევს მოსდევდა, ღამის თავზე წაგვადგა. ისევ ჩვენ წავედით წინ და ის უკან წამოგვყვა.

გამოქვაბულში უნდა დავრჩეთ, — თქვა ერთმა ჩვენიანმა და ჩვენც დავეთანხმეთ. შევედით. შესასვლელთან რიგ-რიგობით ვმორიგეობდით და პოლიციის უფროსიც დავინახეთ. გამოქვაბულის წინ, დაახლოებით 50 მეტრში, ხის ძირში წამოწვა და არსად მიდიოდა. თითქოს ვერ გვამჩნევდა, მაგრამ ხომ ვიცოდით, ზუსტად იცოდა, სად ვიყავით. წუთი წუთზე ველოდით სპეცრაზმის გამოჩენას, მაგრამ ორი საათი რომ არავინ გამოჩნდა, მივხვდით, მართლა გიჟთან გვქონდა საქმე. გასვლას აზრი არ ჰქონდა, გვესროდა... ჩვენ არაფერი გვიფარავდა, იმას კი — ხეები... დაღამებას დაველოდეთ, მაგრამ რად გინდა, დაღამდა თუ არა, იმხელა ცეცხლი დაანთო, გამოქვაბულს თითქმის მთლიანად ანათებდა. ვიმსჯელეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი მოლაპარაკებაზე უნდა გასულიყო. გავიხადეთ მაისური, დავამაგრეთ ჯოხზე და ასე, თეთრი ალმით ხელში, ერთი წავიდა. სულ ხუთი წუთი ელაპარაკა პოლიციის უფროსს და უკან დაბრუნდა.

მართლა გიჟია. ასე ამბობს, დამნებდით და პირობას გაძლევთ, „სროკსაც“ მინიმალურს მოვაცემინებ, ოღონდ ეგ წამალი უნდა დააბრუნოთ, იმ აზერბაიჯანელს ბრალი რომ წავუყენოთ, ეგ უფრო მაინტერესებსო. ვიმსჯელეთ და გზა გავაგრძელეთ. წინ ჭაობი გვეგულებოდა და ჩვენი ახალგაზრდული ასაკის იმედი გვქონდა. ჭაობს მეორე საღამოს მივადექით. შევედით. საკვები გვქონდა, მას კი — არაფერი. წაქცეულ ხესთან გავჩერდით და ზედ თოკებით მივემაგრეთ. მკერდამდე წყალში ვიყავით და წარმოიდგინეთ რა მოგვივიდოდა, როცა ჩვენგან 30 მეტრში ისიც ჭაობში შემოვიდა. ისიც წაქცეულ ხეს ჩაეხუტა და ისიც მკერდამდე წყალში. უკვე პრინციპის საქმე იყო. სამი დღე ვიყავით ასე და სამი დღე არ განძრეულა ის კაცი. ვერ გეტყვით, რას ჭამდა, მაგრამ იქ იყო. მეოთხე დღეს რომ ვეღარ გავქაჩავდით, მივხვდით და გზა გავაგრძელეთ. ისევ გამოგვყვა და სერიოზულად დავფიქრდით, მოგვეკლა თუ არა. ისევ მოლაპარაკება ვარჩიეთ და ახლა მეორე წავიდა. უკან რომ დაბრუნდა, საგზლის ჩანთას ეცა. თურმე, ჭაობში რომ გვეძინა, მაშინ მოვიდა და საგზლის ნაწილი მოგვპარა. დახოცვა რომ მდომებოდა, დაგხოცავდით, მაგრამ ცოცხლები უნდა აგიყვანოთო. თითოს ოთხ წელზე მეტს არ მოგცემენ, გპირდებით და ყაჩაღობაზე ოთხი წელი მინიმუმის მინიმუმი რომ არის, კი იცით ჩემზე კარგადო. ისევ გზა გავაგრძელეთ და გადავწყვიტეთ, ღამე გავპარვოდით. დაღამდა, დასაძინებლად მოვემზადეთ ვითომ და მერე, როცა შუა ღამე გადავიდა, გავცურდით ბალახებში და სირბილით ვიარეთ მთელი ღამე. დილით უკან რომ მოვიხედეთ, მდევარი არსად ჩანდა. იმის იმედი გვქონდა, რომ ეს 50 წელს მიტანებული კაცი დაიღლებოდა და შეგვეშვებოდა. ისევ ვირბინეთ და დამშვიდებულებმა გავაგრძელეთ გზა. პერიოდულად ისევ გავრბოდით. ღამე მკვდრებივით დაგვეძინა. დილით სამივეს ბორკილი გვედო, ის კაცი მშვიდად ეწეოდა სიგარეტს და როცა სამივემ გავიღვიძეთ, ასევე მშვიდად გვითხრა: „ახლა ვერტმფრენს გამოვიძახებ. თქვენგან მხოლოდ ის მინდა, სასამართლოზე დაადასტუროთ, წამალი იმ კაცისგან რომ წამოიღეთ. ოთხ წელზე მეტს რომ არ მოგცემენ, მაგის პასუხისმგებელი მე ვარ. შევთანხმდით?!“

სხვა რა გზა გვქონდა, შევთანხმდით და იმანაც მობილური ამოიღო. გაგვიკვირდა, ამდენი დღე ელემენტმა როგორ გაძლო. მას კი გაეღიმა, ოთხი ელემენტი მქონდა წამოღებული, ეს უკვე მეოთხეაო, თქვა და დარეკა. სამ საათში გვიპოვეს და როცა სპეცრაზმმა წაგვითაქა, პოლიციის უფროსმა მას სილა გააწნა — ამათი ცემა რომ მდომებოდა, აქ არ მყავდნენო?

სასამართლოზე პროკურორმა ლამის დაანგრია ყველაფერი, რვა წელს ითხოვდა თითოზე, მაგრამ აქეთ პოლიციის უფროსი ანგრევდა ყველაფერს. ბოლოს ჩვენებმა გვითხრეს, პოლიციის უფროსს უთხრეს, სამსახურიდან თუ წახვალ, ბიჭებზე ოთხ წელს მივაცემინებთო. დავრწმუნდით, რომ ჩვენი გულისთვის სამსახურს არ დატოვებდა. ბოლოს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ისევ რვა წელი მოითხოვა. პოლიციის უფროსი იქ იყო და სახეზე მიტკლისფერი ედო. ცუდად გვენიშნა, მაგრამ როცა მოსამართლემ ოთხი წელი გამოგვიცხადა, მგონი ჩვენზე მეტად იმან გაიხარა. სანამ გაგვიყვანდნენ, მოვიდა, დაგვემშვიდობა და ღიმილით გვითხრა, სხვაგან გადავდივარ სამუშაოდ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ დაგივიწყებთო. გლდანის ციხეში არ გვცემეს, იმან დარეკაო და მერეც, როცა რამე დაგვჭირდა, შევაწუხეთ და შეწუხდა. ახლაც გვაქვს ურთიერთობა და ჩვენებმა მაგის ცოლ-შვილი დაასვენეს ჩვენთან სოფელში. სამსახურის გარეშეა დარჩენილი, აღარავის ვჭირდები 55 წლის კაციო. არადა, ასეთი პროფესიონალი ერთი-ორი თუ იქნება“, — ასე ასრულებდნენ ბიჭები მოყოლას.

ვერსიანიუსი

შსს-მ უპრეცედენტო ოდენობა — 57 კილოგრამზე მეტი ნარკოტიკული საშუალება „ამფეტამინი“ ამოიღო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელთა მონაწილეობით ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე არტაკ ჰ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა პირმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები უკანონოდ შეიძინა და მათი საქართველოში უკანონოდ შემოტანა განიზრახა. არტაკ ჰ-მ სომხეთის რესპუბლიკიდან საბაჟო გამშვებ პუნქტ „სადახლოს“ გავლით, საქართველოში თავისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის — TOYOTA LAND CRUISER-ის გაუქმებულ ავზში უკანონოდ შენახული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები შემოიტანა. ავტომანქანის შემოწმებისას სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს 96,460 ლიტრი თხევადი ნივთიერება, რომელიც განსაკუთრებით დიდი ოდენობით — 57,24 კილოგრამ ნარკოტიკულ საშუალება „ამფეტამინს“ და ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით — 226,681 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „მეტამფეტამინს“ შეიცავდა.

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ქიმიური ექსპერტიზის დასრულებისა და ნივთიერებების ოდენობის დადგენის შემდეგ, არტაკ ჰ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში დააკავეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით და 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ვადით 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

დიდი ოდენობით ბრილიანტის შემოტანის ფაქტზე სომხეთის მოქალაქე დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო საზღვრის კონტროლისგან ფარულად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ბრილიანტის შემოტანის ფაქტზე, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, პავლიკ სევოიანი დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა, საბაჟო გამშვები პუნქტი „სადახლოს“ გავლით, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, საქართველოს ტერიტორიაზე შემოიტანა უმაღლესი ხარისხის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ბრილიანტის თვლები, რომლის ღირებულებაც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 350 000 ლარს შეადგენს.

დანაშაულებრივ ფაქტზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 5-დან 7 წლამდე.

„ინტერპრესნიუსი“

გიორგი მღებრიშვილი გლდანის მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის ცემის ფაქტს არ ადასტურებს

სასჯელაღსრულების მინისტრი გიორგი მღებრიშვილი გლდანის მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის ცემის ფაქტს არ ადასტურებს და აცხადებს, რომ მსჯავრდებულ კორიაბოჩკინს უბრალოდ აკრძალული ნივთები აღმოუჩინეს, რის გამოც სამარტოო საკანში გადაიყვანეს:

„მას ამოუღეს აკრძალული ნივთები და მოხდა მისი გადაყვანა სამარტოო საკანში. სხვათა შორის, ეს პატიმარი გასამართლებულია მცირეწლოვანი ბავშვის გაუპატიურებისთვის — ეს ინფორმაციისთვის რომ იცოდეთ. რაც შეეხება ცემას, ასეთი ფაქტი არ ყოფილა“.

„ინტერპრესნიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სახელმწიფო თხილის წარმოების განვითარებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერით აპირებს

დარჩელში თხილის საშრობი და სასაწყობე მეურნეობა მოეწყობა

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის დადგენილებით, სახელმწიფო პროგრამა — „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით“ დამტკიცდა. ამ პროგრამას სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ საშუალებით ახორციელებს. პროგრამის მიზანია თხილის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა; თხილის თვითღირებულების შემცირება და საექსპორტო პოტენციალის ზრდა; სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. იმისთვის, რომ კოოპერატივი ამ პროგრამაში ჩაერთოს, მისი, როგორც იურიდიული, ასევე ფაქტობრივი მისამართი აუცილებლად ზუგდიდის მუნიციპალიტეტი უნდა იყოს. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარემ, გიორგი მიშელაძემ „ვერსიას“ თხილის წარმოების განვითარების სახელმწიფო პროგრამის დეტალები გააცნო.

— ბატონო გიორგი, თხილის წარმოების განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში უკვე შეიქმნა კოოპერატივი?

— პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის, როგორც იურიდიული, ასევე, ფაქტობრივი საქმიანობის მისამართი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში უნდა იყოს. ეკონომიკის სამინისტროსა და ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, დარჩელში უკვე შევარჩიეთ მიწა, რომელზეც ნაჭუჭიანი თხილის საშრობი და სასაწყობე მეურნეობა შენდება. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ეს საშრობი დღეში, მინიმუმ, 24 ტონა სიმძლავრის იქნება, საწყობში კი ერთდროულად, მინიმუმ, 500 ტონა თხილს დაასაწყობებენ. ამავე პროგრამით, ეს ინფრასტრუქტურა იჯარის წესით ისეთ კოოპერატივს გადაეცემა, რომლის მეპაიეთა (წევრთა) რაოდენობა 500-ზე ნაკლები არ იქნება. გარდა ამისა, 2017 წლის 1 იანვრამდე, კოოპერატივის 500-ვე მეპაიემ, მათ სარგებლობაში არსებული მიწა, რომელიც ამჟამად რეგისტრირებული არ აქვთ, აუცილებლად უნდა დაარეგისტრირონ ან საკუთრებაში, ან მეპაიეებზე, ან კოოპერატივში პაის სახით შეიტანონ. 2018 წლის 1 სექტემბრამდე, კოოპერატივმა უნდა უზრუნველყოს და დანერგოს GLOBAL GAP-ის ევროპული სტანდარტი წარმოებაში, ხოლო 2019 წლის 1 ივნისამდე — HACCP-ის სტანდარტი. სწორედ ამ სამი, ძირითადი კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემდეგ, კოოპერატივს მიეცემა შესაძლებლობა, რომ საიჯარო ვადის ამოწურვის შემდეგ, ამ ინფრასტრუქტურის, ანუ თხილის სასაშრობე და სასაწყობე მეურნეობის პრივატიზება განახორციელოს. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მხოლოდ თხილის გაშრობასა და დასაწყობებას არ ვახორციელებთ, მეპაიეს უფლება აქვს, რომ კოოპერატივში, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ მიწაზე მოყვანილი თხილიც მიიტანოს, მწვანე მასა კოოპერატივის საშუალებით გაარჩიოს, გარჩეული მასა გააშროს და სურვილის შემთხვევაში, საწყობში შეინახოს. მეპაიეს იმის უფლებაც აქვს, რომ თხილი წაიღოს და თვითონვე განკარგოს, მაგრამ ვურჩევთ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასაწყობე მეურნეობა გამოიყენონ, სადაც სწორად გამშრალ, მაღალხარისხიან თხილს შეინახავენ, რათა არა მხოლოდ სეზონზე, არამედ მთელი წლის განმავლობაში შეძლონ პროდუქციის რეალიზაცია.

— ამ პროგრამის ფარგლებში, გეგმავთ თუ არა დარჩელის კოოპერატივის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლებას?

— პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა ღონისძიებებს განვახორციელებთ და მათ შორის, კოოპერატივის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლებაც შედის. სპეციალურ ტრენინგებზე ვასწავლით, რამდენად სწორად უნდა დაგეგმონ თხილის პლანტაციების გაშენება, როგორ უნდა შეარჩიონ თხილის ნერგები, გაეცნობიან თხილის მოყვანისა და სწორად დაკრეფის წესებსაც. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში არსებული შპს „მელიორაცია“, კოოპერატივში ჩართული მეპაიეების მიწებს დრენაჟით უზრუნველყოფს. მოგეხსენებათ, ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში, ტენიანი ნიადაგია და დრენაჟი აუცილებელია, რაც ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება. ვგეგმავთ ლაბორატორიულ შემოწმებებსაც, თუმცა ამ კოოპერატივს თავადვე ექნება მცირე ლაბორატორია ადგილზევე, რათა კოოპერატივის წევრის მიერ მიტანილი თხილი გაშრობამდეც შეამოწმონ და გაშრობის შემდეგაც. თხილის სრულ შემოწმებას კი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში შეძლებენ, თუ კოოპერატივსა და მეპაიეს დასჭირდება. ამდენად, ეს პროგრამა მხოლოდ თხილის გაშრობა-დასაწყობებას არ მოიცავს, კომპლექსური პროგრამაა, რომელიც სხვადასხვა მიმართულებითაა უზრუნველყოფილი, რათა კოოპერატივში ჩართულ მეპაიეებს მეტი შესაძლებლობა მივცეთ, რომ ხარისხიანი თხილი აწარმოონ და მაღალხარისხიანი პროდუქტი სათანადო დროს, სათანადო ფასად გაყიდონ.

— 500-კაციან კოოპერატივში სამეგრელოს რეგიონის წარმომადგენლები მოიყრიან თავს, თუ მხოლოდ დარჩელელები?

— პროგრამა ითვალისწინებს, რომ თხილის წარმოების განვითარების კოოპერატივი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში უნდა დარეგისტრირდეს. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ მასში დარჩელის გარდა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებიდანაც ჩაერთონ მსურველები. ჩვენ უკვე გვაქვს მონაცემები, რა მდგომარეობაა დარჩელსა და დარჩელის გარშემო სოფლებში, რამდენი ოჯახი და კომლია ჩართული მეთხილეობის დარგში და რამდენი ჰა მიწა აქვთ სარგებლობაში. მხოლოდ სოფელ დარჩელში, თხილის წარმოებით 930 კომლია დაკავებული და საერთო ჯამში, 866 ჰა მიწის ნაკვეთს ფლობენ. ამდენად, საკმაოდ დიდი მოთხოვნაა დარჩელსა და მის გარშემო სოფლებში, თუმცა მხოლოდ დარჩელიც რომ ჩაერთოს ამ სახელმწიფო პროგრამაში, კოოპერატივის წევრთა მინიმალურ რაოდენობას ნამდვილად აკმაყოფილებს. თუმცა ვაცხადებთ, რომ ეს პროგრამა მხოლოდ დარჩელისთვის არ არის. ვიმედოვნებთ, რომ ამ კოოპერატივში ბევრი ადამიანი ჩაერთვება, რომლებიც ამ დონის მძლავრ კოოპერატივებს შექმნიან და სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებს მათთან ერთად განვახორციელებთ.

— ამ გადაწყვეტილებით, კოოპერატივების გამსხვილებასა და მიწების გაერთიანებას უწყობთ ხელს?

— დიახ, რა თქმა უნდა. აქ ერთი ფაქტიცაა გასათვალისწინებელი, დღევანდელ რეალობაში, კოოპერატივებში, საშუალოდ, 7 წევრია. ვთვლით, რომ ეს ძალიან ცოტაა იმისთვის, რომ კოოპერატივები სტაბილურ, ძლიერ სუბიექტებად ჩამოყალიბდნენ. ამიტომ სახელმწიფოს მხარდაჭერით, პირველ პრეცენდენტს ვქმნით და გვინდა დავანახოთ ხალხს, რა სიკეთის მოტანა შეუძლია, როგორც რესურსების, ასევე მიწის კონსოლიდაციას. ამჟამად, ქობულეთის რაიონში 258-კაციანი კოოპერატივი გვაქვს, მაგრამ ამავდროულად, მაღალმთიან რეგიონებში 3-კაციანი კოოპერატივებიც ფუნქციონირებენ. კოოპერატივის სიძლიერისა და სტაბილურობის მთავარი ამოცანა კი უფრო მეტი ადამიანური, ფინანსური და ქონებრივი რესურსის კონსოლიდირებაა. ეს უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს კოოპერატივს, რომ გაძლიერდეს და სტაბილურ სუბიექტად ჩამოყალიბდეს. დარჩელის კოოპერატივის მაგალითი, კონსოლიდაციისკენ გადადგმული ნაბიჯის პირველი პრეცედენტია და იმედი მაქვს, ბევრი ასეთი პრეცედენტი გვექნება, რადგან კონსოლიდაციის გარდა, წვრილ კოოპერატივებს დამოუკიდებელ სუბიექტებად არსებობის სხვა გზა არ აქვთ. შესაძლოა, ბაზარზე კონკურენტუნარიანები ვერ იყვნენ და ამიტომ მათი გაერთიანება აუცილებელია.

დაპირისპირება ოზურგეთის საკრებულოში

„შე ახვარო, გაგატანიებ ახლა ფანჯარას“

გიორგი სირაძე

„შე ახვარო, გაგატანიებ ახლა ფანჯარას“, — ასე ამკობდნენ დეპუტატები საკრებულოს სხდომაზე ერთმანეთს. ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, ერთმანეთს ფიზიკურად მაშინ დაუპირისპირდნენ, როცა „ანტიკორუფციული სამსახურის“ მიერ „ქრთამის აღების ბრალდებით“ დაკავებული შოთა ართმელაძის პასუხისმგებლობის დაყენების საკითხს განიხილავდნენ. ეს უკანასკნელი ამავე საკრებულოს აგრარული კომისიის თავმჯდომარეა.

საკითხი საკრებულოს თავმჯდომარემ, დავით დარჩიამ შემოიტანა და რიგგარეშე სხდომაც მოიწვია.

დეპუტატების ნაწილი სასამართლოს გადაწყვეტილებამდე დაკავებული დეპუტატის გადაყენების წინააღმდეგი იყო, ხოლო დაპირისპირება შეხლა-შემოხლაში მას შემდეგ გადაიზარდა, რაც ნაციონალმა დეპუტატმა, დავით მჟავანაძემ, მთლიანად „ქართული ოცნების“ პასუხისმგებლობის საკითხის დასმა მოითხოვა.

ლევან კილაძე: უზრდელი ხარ შენ.

დავით მჟავანაძე: წესიერად ილაპარაკეთ.

ლევან კილაძე: წესიერად შენ ილაპარაკე, უსირცხვილო.

გოჩა კილაძე: შე ახვარო, გაგატანიებ ეხლა ფანჯარას, წაგაძრობ თავს.

დავით მჟავანაძე: რას გამატანიებ, ბიჯო, არ გევიდნენ თავზე.

ამ დაპირისპირების შემდეგ დეპუტატებმა ერთმანეთს მაგიდის სამაგრები და ტელეფონები ესროლეს, რასაც ფიზიკური დაპირისპირება და ხმაური მოჰყვა. სხდომათა დარბაზში ვითარება იმდენად დაიძაბა, საკრებულოს თავმჯდომარემ, რომელიც ამ ყველაფერს თვალს შორიდან ადევნებდა, დაცვის პოლიცია გამოიძახა.

„გვიშველეთ, დახოცეს ერთმანეთი, რა ხდება აქ, უსირცხვილოები ხართ“, — გაიძახოდნენ ქალბატონი დეპუტატები. დაპირისპირება დაცვის პოლიციის თანამშრომლების მოსვლის შემდეგ განიმუხტა.

როგორც მჟავანაძემ განაცხადა, დღეს ქვეყანაში გაჩაღებულია კორუფცია და ამის ნათელი მაგალითი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასაკირალის დეპუტატის, შოთა ართმელაძის დაკავების ფაქტი. მჟავანაძის განცხადებით, მას და „ქართული ოცნების“ დეპუტატებს შორის დაპირისპირების მიზეზი სწორედ მისი ეს განცხადება გახდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი ოზურგეთის საკრებულოში, დავით მჟავანაძე, მომხდარს სამარცხვინო ფაქტი უწოდა: „მქონდა რამდენიმე კითხვა საკრებულოს თავმჯდომარესთან, რამაც ჩემი კოლეგების გაღიზიანება გამოიწვია. მე ვსაუბრობდი, რომ ქვეყანაში გამეფებულია ზოგადად კორუფცია, თუმცა არ ვსაუბრობდი კონკრეტულად შოთა ართმელაძეზე. მე ვსაუბრობდი იმ გარემოებებზე, რომლებშიც გვიწევს ცხოვრება. დღეს გაჩაღებულია კორუფცია და ამის ნათელი მაგალითი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასაკირალის დეპუტატის შოთა ართმელაძის დაკავების ფაქტი. ის, რაც დღეს ოზურგეთის საკრებულოში მოხდა, სამარცხვინოა. დეპუტატებმა ერთმანეთს დაარტყეს“.

სტიქიის შედეგად ახაშენში 40-მდე საცხოვრებელი სახლია დატბორილი

ძლიერმა წვიმამ გურჯაანის რაიონის სოფელი ახაშენი დაზარალა. ადიდდა სოფელ ახაშენის ხევი, რომელმაც 40-მდე საცხოვრებელი სახლი დატბორა.

დატბორილია სარდაფები, ეზოები საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და საცხოვრებელი სახლის პირველი სართულები.

მოსახლეობას დაუზიანდა საყოფაცხოვრებო ნივთები და ტექნიკა. სპეციალური ტექნიკა მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა, რომელიც ამოტუმბვით და გაწმენდით სამუშაოებს აწარმოებდა. ამ დრომდე ადგილზე მობილიზებულია სამაშველო სამსახურის ბრიგადები.

ახაშენის ხევიდან ჩამოსულმა ნაშალმა სოფელში მდებარე სარკინიგზო მაგისტრალი მთლიანად დაფარა, რომლის გაწმენდაც სპეცტექნიკის საშუალებით გახდა შესაძლებელი.

სტიქიის ზონაში იმყოფებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და კახეთის გუბერნატორი.

როგორც გუბერნატორმა, ირაკლი შიოლაშვილმა განაცხადა, მოსახლეობის დახმარებას მაქსიმალურად შეეცდება.

მისივე თქმით, ამ დროისთვის მობილიზებულია მთლიანად რეგიონის ტექნიკა. თუ რა ზარალი მიაყენა სტიქიამ სოფელ ახაშენს, ზარალის შემსწავლელი კომისიის მუშაობის შემდეგ გახდება ცნობილი.

„პირველი“



1. გამაგ-რილებელი სასმელი
2. ქაღალ-დის ფულის გაუფა-სურება
3. ვისიმე წინააღმდეგ მოქმედი
4. მეტეო-როლოგიურ ელემენტთა ერთობლ.
5. სოფი ლორენის ნამდვილი გვარი
6. თევზების შემსწავ-ლელი მეცნიერება
7. მხარე იმერეთში
8. ძვ. ფრანგული ოქროს ფული
9. ზღვის ქაფიდან მობილი ქალღმერთი
10. არაბ-თის მეფე „ვეფხის-ტყაოსანში“
11. რუსი პოეტი ქალი
12. მწვალებ-ლობა
13. ქართული ხალხური ეპოსი
14. ჭადრაკის პარ-ტიის შუა ნაწილი
15. ქალაქი საფრან-გეთში
16. ქართ. ანბანის პირველი ასო
17. თესევის სატრფო
18. სურნე-ლოვანი მწვანილი
19. მნიშ-ვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
20. „ახალი ... კარგად გვის“
21. ღვინის ობი
22. იგივეა, რაც კრა-ზანა
23. ძაღლის ჯიში
24. საგანგებო დავალება
25. სოფელი ყაზბეგის რაიონში
26. მსახიობი ლია ...
27. კუბიკის ავტორი
28. ჰოლივ. მსახიობი ... კრუზი
29. მონტე-კრისტოს ტიტული
30. გ. საკაძის უმცროსი ვაჟი
31. თვალის გარეთა გარსი
32. ტყის მცველი
33. ინგლისელი დიზაინერი
34. ვირ-ტუოზული პასაჟი სიმღერაში
35. საესტრადო წარმოდგე-ნის სახეობა
36. იესო-ქრისტეს გამყიდველი
37. სანე-ლებელი მცენარე
38. სტალი-ნის დედის შინაურული სახელი
39. ფრანგი მსახიობი ანუკ ...
40. კათო-ლიკეთა მღვდელი
41. მილა იოვოვიჩის კინოროლი
42. მაღა-ლი უხეში ბალახი
43. ვიოლი-ნოს მსგავსი საკრავი
44. იგივეა, რაც მღვდელ-მთავარი
45. ხრიკი, ოინი
46. ინგლის-ში მოღვაწე ქართველი მომღერალი
47. ამერიკ. მომღერალი დაიანა ...
48. სახოტბო ლექსი
49. მწერალი ... ტოლსტოი
50. ადმინის-ტრაციულ-ტერიტო-რიული ერთეულის უფროსი ძველ დაღესტანში
51. საჭმე-ლი სოკო
52. შოტლან. ნაგაზი
53. ვიწრო და გრძელი კარადა
54. ცეცხ-ლის ძნათი ნაწილი
55. ოდიოზური ამერიკელი მილიარდერი
56. ორფეოსის მეუღლე
57. ლავაში გახვეული შემწვარი ხორცი
58. სუ-მოისტების ტურნირი
59. დიდი ფოჩებიანი შალი
60. ბელურას „ნათესავი“
61. ბალეტში: ერთი ან რამდენიმე შემსრულებ-ლის გამოსვლა ცეკვით
62. პირისახის ძვალი
63. საჰაერო ფლოტი
64. რუ-სული როკ-ჯგუფი

კოლოებთან „ომი“ დაიწყეს

ჩრდილოეთ იტალიის მაცხოვრებლებს 50-დან 500 ევრომდე ჯარიმა ელით, თუკი ისინი კოლოებს არ შეებრძოლებიან. როგორც ქალაქ მონტებელუნას მუნიციპალიტეტში აღნიშნავენ, ახალი კანონი იმას კი არ გულისხმობს, რომ ადამიანი თოთოეულ მწერს გამოეკიდოს, არამედ ხელი არ შეუწყოს მათი პოპულაციის ბუნებრივ მატებას. ვენეტოს რეგიონში გამოცემული სპეციალური დადგენილება ადგილობრივი მცხოვრებლების, დასახლებათა ადმინისტრაციების, ფირმებისა და მაღაზიების მფლობელებისა და ფერმერული მეურნეობებისთვისაა, რომელიც ოქტომბრის ბოლომდე იქნება ძალაში. ამ დადგენილების მიხედვით, სახლებში და სამსახურში, აივნებსა და ბაღებში იკრძალება თავღია დატოვება ისეთი ნივთებისა, სადაც შეიძლება წვიმის წყალი დაგროვდეს. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი შეიძლება იმის გამო დააჯრიმონ, რომ ტერასაზე თავღია ბოთლი დადგა, ან ყვავილების ქოთნის სადგამი დატოვა გარეთ, ანდა გაშლილი დარჩა მზისგან დამცავი ტენტი, რადგან იქ შესაძლოა წვიმის წყალი ჩადგეს. აკრძალვების გრძელ სიაში ისიც არის მითითებული, რომ მოსახლეობამ რეგულარულად უნდა მოახდინოს ჭების დეზინფიცირება და ბალახი მოთიბოს, რომ იქ კოლოებს გამრავლების საშუალება არ მიეცეთ.

ჩანასახის 3D-პორტრეტებს ბეჭდავენ

დროა, დაივიწყოთ ექოსკოპიაზე ნანახი და ამობეჭდილი, მომავალი შვილის შავ-თეთრი ფოტოსურათი. იაპონელები უკვე ჩანასახის 3D-პორტრეტებს ბეჭდავენ და შემდეგ მის მიხედვით პაწაწინა ფიგურებს ქმნიან. იაპონურ საინჟინრო-სამედიცინო კომპანიაში ჩანასახის 3d-პრინტერისგან სკანირებას ახდენენ და კრემისფერი რეზინის მსგავსი მასალისგან პორტრეტებს ქმნიან. მომავალი ბავშვის პატარა გამოსახულება იაპონელ მშობლებს 500 დოლარი უჯდებათ, თუმცა აღსანიშნავია, რომ მეცნიერები მხოლოდ პორტრეტებზე არ მუშაობენ — ისინი სხეულის ნაწილების სკანირებასაც ახდენენ. მხოლოდ გასათვალისწინებელია, რომ ჩანასახის სკანირება და ფიგურების შექმნა ფეხმძიმობის მერვე ან მეცხრე თვეში ხდება. ვიდრე ვიმშობიარებდი, უკვე ვიცოდი, როგორ გამოიყრებოდა ჩემი შვილი, რომელსაც მუცლით ვატარებდი. ეს საოცარი შეგრძნება იყო, — ამბობს ერთ-ერთი კლიენტი.

სარკის გავლენა ადამიანზე

ამერიკელმა სწავლულებმა სარკის ამოუცნობი თვისებები შეისწავლეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შეუძლია, გავლენა მოახდინოს ადამიანზე, რომელიც სარკეში იხედება. ამასთან, ეს გავლენა, შესაძლოა, იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითიც. ადამიანი დაღლილობასა და მეხსიერების გაუარესებას იგრძნობს, თუკი დიდხანს ათვალიერებს გამოსახულებას სარკეში, განსაკუთრებით, თუ საკუტარ თავს თვალებში უყურებს. სარკე ადამიანის ენერგიის აკუმულირებას ახდენს, თუ ის სამ წუთზე მეტ ხანს იხედება და „ენერგეტიკული ვამპირის“ როლში გამოდის. მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ ვინც ხშირად იხედება სარკეში, მალე ბერდება. ენერგეტიკული ველი ადამიანის გარშემო სუსტდება და გარემოს ზეგავლენისგან თავის დაცვა უჭირს. თუმცა, სარკეს დადებითად მოქმედების უნარიც ჰქონია. თუ ადამიანი სარკეში საკუთარ გამოსახულებას ღიმილით უყურებს, ის პოზიტიურ ენერგიას გამოასხივებს. ეს ენერგია აირეკლება სარკეში და კვლავ ადამიანს უბრუნდება — ამაღლებს მის განწყობას, ხსნის სტრესს და წარმატებისკენ უბიძგებს.

სუდოკუ ყველა

ადვილი

6	1							
		5		7	4		1	2
							4	3
5	2		6					
4				8				1
					3		5	8
1	7							
3	5		9	2		7		
							9	5

სტანდარტი

			8					1
	6		5					7
		5		2		6		4
		8		5				2
	5		2		9		7	
1				8		9		
5		3		6		1		
9					5		3	
4					2			

რთული

6					1			
	7				6	8		3
8					5		6	
5	4							
		9		8		3		
							4	6
	8		9					2
1		3	5				9	
			7					4

ექსპერტი

					5	4	3	2
6		3	4		9			7
			8				6	
	9							
3		8	5		6	7		9
							4	
	8				1			
5			9		3	2		6
1	3	2	6					

ვაქცინა მარტოობისგან – „ქალის მუხლები"

იაპონელი სწავლულების მიერ შექმნილი ბალიში-მუხლები, რომელსაც იმაზაკურა ჰქვია, დღესაც — 15 წლის შემდეგაც საკმაოდ პოპულარულია ამომავალი მზის ქვეყანაში. ცნობილი ინტერნეტ-მაღაზიის Japan Trend Shop ვებ-გვერდზე ის აღწერილია, როგორც რბილი და მოქნილი, ის შესანიშნავია იმისთვის, რომ მასზე ტავი დადოთ. გაიოცებული დარჩებით, რამდენად მოხერხებულია და რამდენად რეალისტურ შეგრძნებებს გჩუქნით. პოლიურეთანისგან დამზადებული ბალიში, რომელიც მუხლებზე დამჯდარი ქალის ფეხების იდენტურია, ისეთ სასიამოვნო შეგრძნებას გიტოვებთ, თიტქოს ტავს მუხლებზე საყვარელ მეუღლეს ან დედას ადებთ. კომპანია თრანე ჩორპორატიონ-ის მიერ 2000 წელს გამოშვებულ ბალიშს არეკლამებდნენ, როგორც „ვაქცინას მარტოობისგან", ის უმალ გახდა გაყიდვების ჰიტი მარტოხელა ადამიანებში და დღესაც „ბესტსელერია". ტოკიოსა და ნარიტას საერთაშორისო აეროპორტების duty-free-ის თაროებიდანაც წამებში ქრება, სადაც მას ხშირად მეგობრებისთვის საჩუქრად ყიდულობენ.

განქორწინება იაპონურად

ამომავალი მზის ქვეყანაში სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება, ეგრეტ წოდებული, „საზეიმო განქორწინება", რომელიც მსურველებს 800 დოლარამდე უჯდებათ. გაყრის ცერემონიაზე სტუმრები, ისევე, როგორც ქორწილის დღეს, სპეციალურ დარბაზში იკრიბებიან, სადაც სუფრაა გაშლილი. ყოფილი მეუღლეები ბაყაყისთავიანი ჩაქუჩით ერთად ამტვრევენ საქორწინო ბეჭდებს. ამ „საზეიმო" დღეს ქალს აუცილებლად ყვითელი ფერის „განქორწინების კაბა" აცვია, რადგან ეს ფერი იაპონიაში მეგობრული და პლატონური ურთიერთობის სიმბოლოა. შემდეგ უკვე ყოფილი ცოლი ყვითელი ყვავილების თაიგულს სტუმრებისკენ ისვრის, ისინი კი გაყრილ წყვილს გულიტადად ულოცავენ. „განქორწინების კაბას" კიდევ ერთი თავისებურება აქვს — ის განსაკუთრებით ლამაზია მხოლოდ ზურგის მხრიდან, რთა ქალი რომ შებრუნდება და ყოფილ ქმარს დატოვებს, „წასვლა" მაქსიმალურად ეფექტური რომ გამოჩნდეს.



ფოტოშოპს სკოლაში ასწავლიან

ლონდონის სკოლებში ახალ საგანს ასწავლიან — ცნობილი ადამიანების ფოტოშოპს. ამ გზით ბავშვებს უხსნიან, რომ მოდური ჟურნალების ყდაზე გამოსახული ყველა მოდელი სინამდვილეში ასე არ გამოიყურება და ცხოვრებაში ისინი — მსახიობები, მომღერლები თუ მოდელები სულ სხვანაირები არიან. პოპულარული გამოცემების ყდებზე იდეალური ქალები არიან. 50 წლისებს სახეზე არც ერთი ნაოჭი არ აქვთ, ვიწრო წელი და მოხდენილი სხეული — ცელულიტისა თუ ზედმეტ წონის ნასახსაც არ იმჩნევს. ამის გამო ლონდონის სკოლების მსწავლებლებმა გადაწყვიტეს, ბავშვებს აუხსნან, რომ ცხოვრებაში ისინიც ჩვეულებრივი ადამიანებივით არიან. ბრიტანეთის დედაქალაქის სასწავლო დაწესებულებებში, 10 წლიდან და ზემოთ მოსწავლეებს ფოტოშოპის სპეციალური გაკვეთილები უტარდებათ. მარტივი მაგალითებით მოზარდებს აჩვენებენ, ჟურნალები და გაზეთები როგორ ახდენენ ცნობილი ადამიანების ფოტოების რედაქტირებას, რათა ისინი ლამის ღვთაებებს დაამსგავსონ. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ასეთი „რეტუშირებული" სურათები მოზარდებს არასრულფასოვნების კომპლექსს უჩენს. თუ ექსპერიმენტი ლონდონის სკოლებში წარმატებული აღმოჩნდება, მას მთელი ბრიტანეთის სასწავლო დაწესებულებებში შემოიღებენ.

ნიკა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

8	4	6	2	1	5	3	9	7
3	1	9	8	6	7	5	4	2
7	5	2	4	3	9	6	8	1
2	9	7	6	5	4	1	3	8
1	6	3	9	2	8	4	7	5
5	8	4	3	7	1	2	6	9
9	7	5	1	4	6	8	2	3
4	3	1	7	8	2	9	5	6
6	2	8	5	9	3	7	1	4

სტანდარტი

8	5	7	6	9	2	1	3	4
1	6	3	8	5	4	2	9	7
4	2	9	1	3	7	8	6	5
3	1	2	7	8	9	4	5	6
9	8	6	5	4	3	7	2	1
7	4	5	2	6	1	3	8	9
6	7	4	3	2	5	9	1	8
5	3	1	9	7	8	6	4	2
2	9	8	4	1	6	5	7	3

რთული

3	2	7	6	4	1	8	9	5
1	8	5	9	2	7	6	4	3
9	6	4	8	3	5	2	1	7
7	9	6	5	8	4	3	2	1
5	3	2	7	1	9	4	8	6
8	4	1	3	6	2	7	5	9
6	5	3	4	9	8	1	7	2
4	1	9	2	7	6	5	3	8
2	7	8	1	5	3	9	6	4

ექსპერტი

3	7	9	4	8	6	2	5	1
1	8	5	7	3	2	4	9	6
2	4	6	5	1	9	3	8	7
9	2	1	3	7	5	8	6	4
5	6	4	8	2	1	7	3	9
8	3	7	9	6	4	1	2	5
4	1	3	6	5	8	9	7	2
7	5	2	1	9	3	6	4	8
6	9	8	2	4	7	5	1	3

მე-10 გვერდი: 1. მთვარე; 2. თალაგვა; 3. აბატისა; 4. ეგისთე; 5. გელათი; 6. საფარი; 7. ალმასი; 8. რექტორი; 9. მინა; 10. კლიფსი; 11. ინსტიტუტი; 12. ივრითი; 13. გრიმო; 14. ონისე; 15. ნიკოტინი; 16. ერევანი; 17. კვესი; 18. ნიკოლოზ ბასილაშვილი; 19. კარაკალა; 20. ადორაცია; 21. ურიკა; 22. ლისიპე; 23. აქანდაზი; 24. მოკასინი; 25. ადარნასე; 26. კარიკატურა; 27. მოლა; 28. ოინა; 29. მაკეტი; 30. ერიდა; 31. რონდო; 32. ბონსაი; 33. აბიო;'34. ლოკომოტივი; 35. სატანა; 36. რუკა; 37. ვერე; 38. ირაო; 39. კილი; 40. რქა; 41. სოლო; 42. ლათინური; 43. სირაჯი; 44. ლუზა; 45. დია; 46. სიო; 47. პარნასი; 48. სასო; 49. აბისალი; 50. აფოცი; 51. ზვარი; 52. სირმა; 53. იზაი; 54. ასა; 55. მინსკი; 56. პომპეი; 57. ასურეტი; 58. ოაზისი; 59. ვაიო; 60. მარსელ; 61. ჯოლი; 62. ოროლი; 63. ინალიფა; 64. ანარა; 65. ომარი; 66. ჯონჯოლი; 67. ნასა; 68. ოფლი; 69. ფირუზი; 70. საპორო; 71. ურინა; 72. ოკარინა; 73. თვე; 74. ნაი; 75. აფიშა; 76. ალ; 77. ვარაზი; 78. მის; 79. პას; 80. ვიალი; 81. აკელა; 82. სიმი; 83. ილი; 84. ია; 85. ალია.

მე-12 გვერდი: 1. ნიუანსი; 2. ნარგილე; 3. ნეგატივი; 4. ურემია; 5. ნუარე; 6. იზიდა; 7. ნეოფიტი; 8. რეკლამა; 9. იარდი; 10. ერიდა; 11. აგრეგატი; 12. სკეტჩი; 13. რიაზანი; 14. ფრე; 15. კონკურსი; 16. ნანდაური; 17. მირაბელი; 18. რომულუსი; 19. ატამი; 20. ამაო; 21. იაკი; 22. აფერისტი; 23. „იზა"; 24. არიმანი; 25. ევა; 26. იენა; 27. კიკო; 28. ალგოლი; 29. გაბო; 30. კობზა; 31. კუტუნიო; 32. ირი; 33. აზუ; 34. ამირანი; 35. მიტოზი; 36. ალური; 37. ბატალია; 38. ბალუ; 39. ორე; 40. ნია; 41. გრუშე; 42. ლასო; 43. ობჩა; 44. ორიონი; 45. რასპე; 46. ურო; 47. ზერო; 48. „რიო"; 49. ერგი; 50. დიორი; 51. ლეია; 52. ფსოუ; 53. რიმე; 54. გიორგი; 55. ნეი; 56. დიკა; 57. ბიკინი; 58. ჟოკეი; 59. მერილინ; 60. ჰიდრია; 61. ჰარმონია; 62. ზმაი; 63. ზნე; 64. „მინდია".

სად ცხოვრობენ მილიონერები

ბრიტანულმა კვლევითმა კომპანიამ Wealth Insight მსოფლიოს იმ ქალაქების რეიტინგი შეადგინა, სადაც ყველაზე მეტი მილიონერი ცხოვრობს. მილიონერთა სიაში ყველა ის ადამიანი შევიდა, რომელსაც პირად ანგარიშზე ერთ მილლიონ დოლარზე მეტი ტანხა აქვს. ამ ტანხაში არ შედის უძრავი ქონების ღირებულება. კვლევების მიხედვით, ყველაზე მეტი მილიონერი ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქში, ტოკიოში ცხოვრობს. აქ 461 ატასი ადამიანია დარეგისტრირებული, რომელტა საბანკო ანგარიშიც ექვსნიშნა რიცხვს აჭარბებს. მილიონერთა ქალაქების რეიტინგში მეორე ადგილზე ნიუ-იორკია 389 ათასი მილიონერით, საპატიო მესამე საფეხურზე კი ლონდონი აღმოჩნდა — აქ 281 ათასი მდიდარი ცხოვრობს. პარიზში მათი რიცხვი 219 ატას შეადგენს, ფრანკფურტში კი — 217 ათასს. მილიონერთა ქალაქების სიაში შევიდნენ, ასევე, პეკინი, ოსაკა, შანხაი და სინგაპური. ბრიტანელების კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, უახლოეს პერიოდში, 2020 წელს ყველაზე მეტი შეძლებული ადამიანი ჩინეთში იქნება, მეორეზე კი იაპონია აღმოჩნდება.

1.გაშლილი სივრცის, მოედნის შიში
2.გარკვეული პროფესიის ადამიანთა მიერ ხმარ. სიტყვები
3. მსუბუქი ნახტომი საბალეტო ცეკვებში
4. უდედმამო ბავშვი
5. პიპინიას უმცროსი შვილიშვილი
6. ინდოელთა წმინდა ყვავილი
7. ძაღლის დგომა მიგნებული ნადირის მიმართულებით
8. მგალობელი ფრინველი
9. იგივეა, რაც კუპლეტი
10.პლანეტა ვენერას ერთ-ერთი სახელი
11.ქრისტიან. რელიგიის ერთ-ერთი მთავარი საიდუმლო
12. ქვეყნის წარსული
13. გარეული ვირი
14.სითხის რაოდ., რასაც იძლევა წყარო დროის ერთეულში
15. გამოუწვავი აგური
16. ჩინური ტანვარჯიში
17.ამერიკელი ტენორი და მსახიობი მარიო ...
18. აფრიკის „დედა“ მდინარე
19.იტალიური მაღალი მოდის კომპანია
20. დიდი თეფში
21. მცენარეთა სამყარო
22. ჩქარი ტემპი მუსიკაში
23. დიდი იტალიელი ფერმწერი
24. გამოუცდელი, მიამიტი ადამიანი
25. ვლადიმერ ნაბოკოვის რომანი
26.უილიამ შექსპირის ერთ-ერთი დრამა
27. მტაცებელი თუთიყუში
28. ხის ჩასაბერი საკრავი
29. ... ცოტაშვილი „ჩემი ცოლის დაქალებში“
30.კანონის ან გადაწყვეტილების გაუქმება
31. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში
32.გადამდნარი კარაქი
33.თერგის ხეობის მონაკვეთი
34. სადაზღვევო პოლისის მიმღები
35.ჩინეთის ფულის ერთეული
36. ნაპოლეონის მშობლიური ქალაქი
37. ბალახის ჩრდილი
38. ებრაელთა უძველესი სამეფო
39. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
40. ისტ. მხარე სამხრეთ საქართველოში
41.ბრიტანული როკ-ჯგუფი „... ზეპელინი“
42. ინგლისური ტრადიციული ლუდი
43. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია
44. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
45.სპორტ. ნაწ. ფირმა
46.გერმანელი ფილოსოფოსი
47.აშშ-ის შტატი
48.სპორტული ნავი
49. ველოტრასა
50. ქვეყანა დასავლეთ ევროპაში
51. ოიდიპოსის სამეფო
52. ფილიპინების დედაქალაქი
53. ძველი ქართული ფული
54. დიდი ზომის ავსტრალიური ფრინველი
55. სახელდახელოდ აშენებული საცხოვრებელი
56.ზღომანის მიერ აღმოჩენილი ანტიკური ქალაქი
57. დროის მონაკვეთი კრიკეში
58. საფრანგეთის საკურორტო ქალაქი
59. ხერხემლის ძვალი
60. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
61. სტალინის სახელი
62. დამუხტული ატომი
63. ერბოკვერცხის შესაწვავი ჭურჭელი
64. კატის ხმიანობა
65. ღრმა თეფში წვნიანი კერძისთვის
66.ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში
67. ქალიშვილის ან დის ქმარი
68. შუა აზიელთა ქეჩის კარავი
69.წყვილი ერთიანი კამათელზე
70. აბატი „გრაფ მონტე-კრისტოში“
71. სოფელი ადიგენის რაიონში
72. სპოროვანი მცენარე
73. დეკორატიული ყვავილი
74. ოზურგეთის საბჭოური სახელწოდება
75. რევოლუციონერი ერნესტო ჩე ...
76. ფრანგული ყველის სახეობა
77. ქალაქი ახალციხის რაიონში
78. აბეზარი მწერი
79.საატანვარჯიშო კედელი, ე.წ. შვედური კიბე
80.საბერძნეთის სიდიდით მეორე კუნძული
81. ჩრდილო-კავკასიელთა სოფელი
82. ზრდილობიანი დასტური
83. ჭადრაკის მფარველი ქალღმერთი
84.შინაური ცხოველი
85.იგივეა, რაც ტუჩი
86.წითელი ნახევრად ტკბილი ქართული ღვინო
87. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა

წითელი ღვინო სმენას აუმჯობესებს

წითელი ღვინის რეგულარული მოხმარება სმენის ფუნქციების დაკარგვისგან იცავს ადამიანს, — ასეთი დასკვნები გააკეთეს ამერიკელმა მედიკოსებმა ჰენრი ფორდის ჰოსპიტლიდან. დეტროიტელმა მკვლევარებმა ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე ჩაატარეს. მათ გამაყრუელებლი ხმაურის ზეგავლენის ქვეშ ამყოფებდნენ, ამასთან ცხოველების ნაწილს რესვერატროლს აძლევდნენ — ქიმიურ ნაერთს, რომლითაც მდიდარია წითელი ღვინო. შედეგად მღრღნელების იმ ჯგუფში, რომელიც ამ ნივთიერებას იღებდა, სმენის დაკარგვა გაცილებით ნაკლებად აღინიშნებოდა. სტატისტიკის მიხედვით, ადამიანების ნახევარს სმენა 60 წლიდან უქვეითდებათ. ზოგი კი ამ პრობლემას გაცილებით ადრე 40-50 წლის ასაკში აწყდება.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.